186
1988
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN—0132—4241

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6

ნოემბერი — დეკემბერი

1988 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 ნოემბერი—დეკემბერი 1988 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

112. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 19 აგვისტოს № 1033 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

113. დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებათა საკითხებსა და ზოგიერთ სხვა საკითხზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ.

114. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 4 ივნისის № 712 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

115. პარტიული ორგანოების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების აპარატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გამოთავისუფლებულ მუშაკთა მატერიალური საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ.

116. „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 4 ივნისის № 400 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.

117. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 13 ოქტომბრის № 1396 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

118. რესპუბლიკური საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“ შექმნის შესახებ.

119. საქართველოს სს რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის გარდაქმნის შესახებ.

120. ქალაქ რუსთავისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მიკუთვნების შესახებ.

121. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 26 აგვისტოს № 672 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის და 1988 წელს ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიების მინიჭების შესახებ.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

122. ომისა და შრომის ვეტერანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

123. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 25 ოქტომბრის № 482 დადგენილების გაუქმების თაობაზე.

124. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის მეთევზეობის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების შექმნის შესახებ.

125. „მოსკვიჩისა“ და „ზაპოროჟეცის“ მარკის ავტომობილების განვადების წესით რეალიზაციის შეწყვეტის შესახებ.

126. საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ.

127. საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოებისათვის ილია ჭავჭავაძის სახელის მიკუთვნების შესახებ.

128. წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის აკადემიკოს ტ. ყ. კვარაცხელიას სახელის მიკუთვნების შესახებ.

129. წყალსაცავთა სანაპირო წყალდაცვითი ზონის დებულების დამტკიცების შესახებ.

130. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 21 დეკემბრის № 821 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

131. საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სამინისტროებში, უწყებებში, წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ქართულ ენაზე საქმისწარმოების საყოველთაოდ დანერგვისა და კავშირგაბმულობის სატელეგრაფო ქსელის აპარატების ქართული შრიფტით აღჭურვის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ.

132. „საქართველოს სს რესპუბლიკაში მსუბუქი ავტომობილების ვაჭრობის მოწესრიგების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 3 სექტემბრის № 631 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

133. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების („სპეცტრანსი“) შექმნის შესახებ.

134. ჩოხატაურის სარაიონო კულტურის სახლისათვის ნ. ვ. დუმბაძის სახელის მიკუთვნების შესახებ.

135. საჩხერის სამუსიკო სკოლისათვის დ. პ. თორაძის სახელის მიკუთვნების შესახებ.

136. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საწვავ-საზეთი მასალების რეალიზაციისათვის ანგარიშსწორების ახალი წესის შემოღებას და ერთიანი სახელმწიფო ტალონების ხმარებიდან ამოღებას

137. ილია (ილიკო) ილიას ძე სუხიშვილის სახელობის პრემიის დაწესების შესახებ.

138. რესპუბლიკაში ზოონოზურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ.

139. „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომების ტერიტორიულ-სამეურნეობათაშორისო გაერთიანებათა საქმიანობის გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 27 დეკემბრის № 653 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე.

140. საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ სახსრების გადარიცხვის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 4 დეკემბრის № 818 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

141. კომპოზიციური სისტემებისა და მასალების დამუშავებისა და წარმოების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების (გაერთიანება „კომპოზიციური სისტემები“) შექმნის შესახებ.

142. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ადაპტაგენის“ სახელის გადარქმევის შესახებ.

143. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ.

საქ. სსრ კ. მარქ
სახ. სახ. რესპუბ

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 112 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 19 აგვისტოს № 1033 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საბაზრო ფონდის საქონლის წვრილ ბითუმად გაყიდვის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 19 აგვისტოს № 1033 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 ივლისის № 555 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში თევზის მოპოვებისა და თევზის პროდუქციის წარმოების გადიდების ზომების შესახებ“;

მე-19 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 11 ივლისის № 459 დადგენილებისა „საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ“;

უკანასკნელი აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 10 სექტემბრის № 622 დადგენილებისა „1986-1990 წლებსა და 2000 წლამდე პერიოდში საქართველოს სს რესპუბლიკაში მოსახლეობის შეკვეთით საცხოვრებლის, მებაღეობის ამხანაგობათა შენობების, გარაჟებისა და სხვა ნაგებობების რემონტისა და მშენებლობის ხაზით მომსახურების განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 19 აგვისტოს № 1033 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა № 2 დანართის მე-4 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 313 დადგენილებისა „ახალგაზრდობის ზოგადი საშუალო განათლების შემდგომი სრულყოფისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 31 ივლისის № 608 დადგენილებით.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ჯ. პატიაშვილი

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ო. ჩერქეზია

ქ. თბილისი, ნოემბერი, 1988 წ. № 518

## 113 დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხებსა და ზოგიერთ სხვა საკითხზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ

სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონთან დაკავშირებით, „დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხებსა და ზოგიერთ სხვა საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 3 აგვისტოს № 953 დადგენილების შესაბამისად და კანონმდებლობის სისტემატიზაციის მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

2. დამტკიცდეს თანდართული ცვლილებები, რომლებიც შეიტანება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 3 აგვისტოს № 953 დადგენილებით:

ა) ძალადაკარგულად ჩაითვალა:

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 4 მაისის № 509 დადგენილება „სახალხო მეურნეობის დაგეგმვის გაუმჯობესების ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 19 აგვისტოს № 542 დადგენილებით;

1-ლი, მე-4, მე-10 და მე-18 პუნქტები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 ოქტომბრის № 920 დადგენილებისა „კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტურად გამოყენებისა და შენდებად საწარმოთა საექსპლუატაციოდ გადაცემისადმი კონტროლის გაძლიერების ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 28 ნოემბრის № 727 დადგენილებით;

მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-8 და მე-10 პუნქტები, მე-15 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები, აგრეთვე სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილ ორგანიზაციათა ნაწილში, 21-ე პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 390 დადგენილებისა „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 ივლისის № 405 დადგენილებით;

მე-17 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 392 დადგენილებისა „საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 ივლისის № 444 დადგენილებით;

მე-7 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 17 ივლისის № 573 დადგენილებისა „ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 18 ნოემბრის № 656 დადგენილებით;

მე-3-8, მე-12 და მე-13 პუნქტები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 18 ოქტომბრის № 755 დადგენილებისა „უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა მატერიალური და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 6 იანვრის № 23 დადგენილებით;

მე-19 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 17 იანვრის № 61 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა სრულიად საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის (მშთ)“ შესახებ, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 28 მარტის № 143 დადგენილებით;

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 22 აპრილის № 291 დადგენილება „მსუბუქი მრეწველობის საქონლის წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 3 ივნისის № 329 დადგენილებით;

მე-6 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 24 ნოემბრის № 1029 დადგენილებისა „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მიერ სახელმძღვანელოების უფასო სარგებლობაზე გადასვლის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 21 თებერვლის № 126 დადგენილებით;

მე-6 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 29 დეკემბრის № 898 დადგენილებისა „ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 მაისის № 352 დადგენილებით;

მე-4 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 24 ივნისის № 662 დადგენილებისა „ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის შემდგომი განვითარების და მედიცინაში, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში მათი მიღწევების გამოყენების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 26 ოქტომბრის № 732 დადგენილებით, აგრეთვე ზემოაღნიშნული დადგენილების № 6 დანართის მე-6 პუნქტი;

მე-11, მე-20 პუნქტები და 21-ე პუნქტის მეორე აბზაცი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 ივლისის № 715 დადგენილებისა „ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადების (ჩაბარების), გადამუშავების შემდგომი გაუმჯობესებისა და მეორეული ფერადი მეტალურგიის საწარმოთა ტექნიკური დონის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 6 აპრილის № 291 დადგენილებით;

მე-17 პუნქტის მეორე აბზაცი, 22-ე პუნქტის მეორე აბზაცი და 23-ე პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 19 აპრილის № 350 დადგენილებისა „კინოფილმების იდეურ-მხატვრული დონის შემდგომი ამაღლებისა და კინემატოგრაფიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 29 სექტემბრის № 702 დადგენილებით;

მე-17 პუნქტის მესამე აბზაცი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 12 ივლისის № 669 დადგენილებისა „მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების ფართოდ გავრცელებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე მათი ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 29 ოქტომბრის № 696 დადგენილებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 29 აპრილის № 387 დადგენილების 21-ე პუნქტის მესამე და მეოთხე აბზაცების მოქმედების გავრცელების ნაწილში;

№ 16 დანართის მე-9 პუნქტის მეორე აბზაცი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 26 აგვისტოს № 807 დადგენილებისა „ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის ახალ მიმართულებათა შემდგომი განვითარების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 20 თებერვლის № 131 დადგენილებით;

მე-20, 22-ე პუნქტები, 25-ე პუნქტის მეშვიდე აბზაცი, 26-ე პუნქტის უკანასკნელი აბზაცი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 17 ივლისის № 842 დადგენილებისა „სახელმწიფო აგრომრეწველ მეურნეობასა და სამომხმარებლო კოოპერაციაში დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და მართვის სრულყოფის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია სა-

ქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ნოემბრის № 755 დადგენილებით, აგრეთვე ზემოაღნიშნული დადგენილების 27-ე პუნქტის მესამე აბზაცი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 29 აპრილის № 387 დადგენილების 21-ე პუნქტის მესამე და მეოთხე აბზაცების მოქმედების გავრცელების ნაწილში;

მე-10 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 8 აპრილის № 427 დადგენილებისა „ქვეყანაში საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ", რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 22 სექტემბრის № 500 დადგენილებით, ზემოაღნიშნული დადგენილების 22-ე პუნქტის მეოთხე აბზაცი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 14 აგვისტოს № 971 დადგენილების მე-2 პუნქტის პირველი-ოცდამეორე აბზაცების, მე-3 პუნქტის პირველი აბზაცის, მე-4 პუნქტის მეორე, მესამე და მეხუთე აბზაცების, მე-8 პუნქტის უკანასკნელი აბზაცის, მე-12 პუნქტის მეშვიდე-მეცხრე აბზაცების, მე-15, 24-ე, 25-ე პუნქტების, 26-ე პუნქტის მეორე აბზაცისა და 29-ე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მოქმედების გავრცელების ნაწილში, 22-ე პუნქტის მეხუთე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1985 წლის 24 იანვრის № 87 დადგენილების მე-19 პუნქტის მოქმედების გავრცელების ნაწილში, აგრეთვე 22-ე პუნქტის მეოთხე აბზაცი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 14 აგვისტოს № 971 დადგენილების მე-5 პუნქტის მეოთხე აბზაცის მოქმედების გავრცელების ნაწილში, მე-17 პუნქტის მესამე აბზაცი კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების სახსრების ხარჯზე ფონდის შექმნის ნაწილში და მე-17 პუნქტის უკანასკნელი აბზაცის, მე-18 პუნქტის მეშვიდე და მერვე აბზაცების, მე-19, მე-20 და 22-ე პუნქტების მოქმედების გავრცელების ნაწილში სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა მიმართ;

ბ) „კაპიტალური მშენებლობის კადრებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 იანვრის № 42 დადგენილების № 5 დანართის მე-6 პუნქტის მეორე აბზაცში სიტყვები: „დაწესებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 17 აპრილის № 428 დადგენილებით საიჯარო ორგანიზაციათა ოსტატებისათვის" შეიცვალა სიტყვებით: „საწარმოო უბანთა ოსტატებისათვის დადგენილი წესით".

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ჯ. პატიაშვილი** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**ო. ჩერქეზია** |

ქ. თბილისი, 1 ნოემბერი, 1988 წ. № 525

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტე-
ტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1988 წლის 1 ნოემბრის № 525
დადგენილებით

# ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ნ ი,

**რომლებიც შეიტანება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხებსა და ზოგიერთ სხვა საკითხზე**

1. „კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის, ორგანიზაციისა და მართვის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 31 აგვისტოს № 665 დადგენილებაში:

ა) მე-16 პუნქტის ოცდამეათე აბზაცში ამოღებულ იქნეს სიტყვები: „(ხოლო საჭიროების კვალობაზე აგრეთვე სხვა ობიექტების)“, ასევე სიტყვები: „გეგმების პროექტების შედგენისას“;

ბ) მე-16 პუნქტის ოთხმოცდამეათე აბზაცში სიტყვები: „განრიგებისა და შეკვეთების“ შეიცვალოს სიტყვებით: „ხელშეკრულებების (შეკვეთების“);

გ) ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-7, მე-8, მე-9 პუნქტები, მე-16 პუნქტის მეექვსე, ოცდამეერთე, ოცდამერვე აბზაცები, მეორმოცე აბზაცის მეორე წინადადება, ორმოცდამეშვიდე-სამოცდამეექვსე, სამოცდამეთერთმეტე-სამოცდამეცამეტე, სამოცდამეჩვიდმეტე, სამოცდამეთვრამეტე, ოთხმოცდამეშვიდე, ოთხმოცდამეთერთმეტე, ოთხმოცდამეთორმეტე, მეასე და ასმეერთე აბზაცები.

2. „ქვეყნის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიზნით კაპიტალური მშენებლობის სრულყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 13 მარტის № 328 დადგენილების შესრულების ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 24 ივნისის № 428 დადგენილებაში:

ა) მე-4 პუნქტში ამოღებულ იქნეს სიტყვები: „უზრუნველყონ თავმოყრილი მშენებლობის რაიონებში ახალ საწარმოთა განლაგებასთან და მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსური გადაწყვეტა“, და მე-5 პუნქტში სიტყვები: „აღნიშნული ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი სახსრების, აგრეთვე შემკვეთთა მიერ ამ მიზნებისათვის დადგენილი წესით გადაცემული სახსრების ხარჯზე“;

ბ) ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-6 პუნქტის მესამე აბზაცი, მე-7 პუნქტი და მე-9 პუნქტის მეორე აბზაცი.

———————

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტე-
ტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1988 წლის 1 ნოემბრის № 525
დადგენილებით

# ნ უ ს ხ ა

## საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძალადაკარგული დადგენილებების დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხებსა და ზოგიერთ სხვა საკითხზე

1. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 12 დეკემბრის № 1657 დადგენილება „ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“.

2. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 26 აპრილის № 257 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ტყის ჭრის გადიდებისა და სატყეო მეურნეობის წარმოების გაუმჯობესების შესახებ“.

3. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 20 დეკემბრის № 723 დადგენილება „დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობის აღმოფხვრის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 ნოემბრის დადგენილების შესრულების ზომების შესახებ“.

4. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 თებერვლის № 113 დადგენილება „რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი ხელმძღვანელობის შესახებ“.

5. მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, მე-5 და მე-6 პუნქტები, მე-11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, მე-13 პუნქტი, მე-14 პუნქტის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტები, მე-16 და მე-19 პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 329 დადგენილებისა „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ზომების შესახებ“

6. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 25 ივლისის № 621 დადგენილება „საქართველოს სსრ საწარმოებში და მშენებლობებზე დაუდგმელი მოწყობილობის გამოყენების შესახებ“.

7. მე-19 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 27 თებერვლის № 115 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

8. მე-7 პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 სექტემბრის № 649 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

9. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 7 დეკემბრის № 825 დადგენილება „შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაგზავნისათვის საწარმოების, მეურნეობებისა და ორგანიზაციების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ“.

10. მე-14 პუნქტის მეთერთმეტე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 11 აგვისტოს № 593 დადგენილებისა „1963-1965 წლებში მინერალური სასუქების და მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა წარმოების განვითარებისა და სოფლის მეურნეობისათვის მათი მიწოდების შესახებ“.

11. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 ნოემბრის № 775 დადგენილება „სოფლის მეურნეობისათვის მისაწოდებელი ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სათადარიგო ნაწილებისა და მაკომპლექტებელ ნაკეთობათა ხარისხის ძირეულად გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

12. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 16 თებერვლის № 104 დადგენილება „1965 წელს კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა და მოსახლეობის სათბობით მომარაგების გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

13. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 14 დეკემბრის № 724 დადგენილებით დამტკიცებული ცვლილებების 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

14. მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 მარტის № 180 დადგენილებისა „1966 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის სწავლების გათართოებისა და სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ მოწყობის ღონისძიებათა შესახებ“.

15. მე-2 პუნქტის მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე, მეათე, მეთხუთმეტე და მეჩვიდმეტე აბზაცები, მე-4 პუნქტის მეექვსე აბზაცი და მე-5 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 თებერვლის № 80 დადგენილებისა „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“, აგრეთვე ამ დადგენილების მე-2 პუნქტის მეთერთმეტე აბზაცი რუსული ენის შესასწავლად 25-ზე მეტი მოსწავლისაგან შემდგარი კლასების ორ ქვეჯგუფად გაყოფის ნაწილში და მე-7 პუნქტი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ნაწილში.

16. მე-2, მე-6, მე-8, მე-9, მე-11 და 23-ე პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967

წლის 18 აპრილის № 260 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მრეწველობასა და მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის უზრუნველყოფის ზომების შესახებ“.

17. 24-ე პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 13 სექტემბრის № 504 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისა და მედიცინის მეცნიერების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

18. მე-3 პუნქტის მესამე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 20 ივნისის № 371 დადგენილებისა „საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებში კვალიფიციურ მუშათა მომზადების შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

19. მე-2 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 17 აპრილის № 199 დადგენილებისა „ახალი, უფრო სრულყოფილი სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო ტექნიკის კონსტრუირების გაუმჯობესების, მისი შექმნისა და წარმოების ათვისების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ“.

20. მე-5 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 აპრილის № 245 დადგენილებისა „იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“.

21. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 6 ოქტომბრის № 554 დადგენილება „1971-1975 წლებში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა შესახებ“.

22. მე-10 პუნქტი და მე-13 პუნქტის მესამე და მეოთხე აბზაცები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 16 მარტის № 141 დადგენილებისა „ვაჭრობისა და მისი ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“.

23. მე-4 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 5 სექტემბრის № 474 დადგენილებისა „ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ“.

24. მე-5 პუნქტის მესამე აბზაცი, მე-9 პუნქტი და მე-14 პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 4 სექტემბრის № 567 დადგენილებისა „სასოფლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის № 471 დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა თაობაზე“.

25. მე-2 და მე-3 პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 25 დეკემბრის № 748 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში საგამომგონებლო საქმის შემდგომი განვითარების, სახალხო მეურნეობაში აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენების გაუმჯობესებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მათი როლის ამაღლების შესახებ“.

26. მე-19 პუნქტის მეხუთე აბზაცი და მე-20 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 10 აპრილის № 190 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ვაჭრობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

27. მე-4 პუნქტის მერვე და მეცხრე აბზაცები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 18 აპრილის № 286 დადგენილებისა „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

28. მე-4 და მე-12 პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 3 მაისის № 294 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

29. მე-5 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 23 ოქტომბრის № 755 დადგენილებისა „კვალიფიციური კადრების მომზადების შემდგომი გაუმჯობესებისა და მშენებლობაში მათი შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ“.

30. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 16 თებერვლის № 116 დადგენილება „მშენებლობის, არქიტექტურის, საშენ მასალათა მრეწველობის დარგში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა ეფექტიანობის ამაღლებისა და მშენებლობის პრაქტიკაში მეცნიერული მიღწევების დანერგვის დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ“.

31. მე-17 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მესამე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 თებერვლის № 128 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი განვითარების შესახებ“ სახელმწიფო სტატისტიკურ ანგარიშგებაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ძირითად მაჩვენებელთა შესრულების შედეგების აღრიცხვის დაკისრების ნაწილში.

32. მე-2 პუნქტი და მე-9 პუნქტის მეორე, მესამე და მეოთხე აბზაცები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 14 დეკემბრის № 850 დადგენილებისა „სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებაში აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღ-

მასკომების, რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებებისა და ადგილობრივი ორგანოების როლის ამაღლების შესახებ“.

ბიბლიოთეკა

33. მე-2 პუნქტის ნეორე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 4 იანვრის № 21 დადგენილებისა „რესპუბლიკის მომსახურების სფეროში ეკონომიის რეჟიმის გაძლიერებისა და დანაკარგების შემცირების ღონისძიებათა შესახებ“.

34. 28-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მეექვსე, მეშვიდე და მერვე აბზაცები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 13 დეკემბრის № 834 დადგენილებისა „ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის ეფექტიანობის ამაღლების, ტვირთის გადაზიდვის დროს წამატებებთან ბრძოლის გააქტიურების და საწვავ-საპოხი მასალების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

35. მე-2 პუნქტი და მე-3 პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 1 აპრილის № 230 დადგენილებისა „1985 წელს ვაჭრობის გაუმჯობესებისა და საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“

36. მე-2 პუნქტის მეოთხე აბზაცი და მე-7 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 9 აპრილის № 281 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ფერადი ლითონების გამოყენების გაუმჯობესების და მეორეული ფერადი მეტალურგიის შემდგომი განვითარებისა და ტექნიკური დონის ამაღლების შესახებ“.

37. მე-2 პუნქტის მეორე და მეხუთე აბზაცები და მე-9 პუნქტის მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე აბზაცები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 სექტემბრის № 592 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში საკონცერტო საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისა და საკონცერტო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“.

38. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 30 სექტემბრის № 655 დადგენილება „პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ხელშეკრულებათა შესრულებისათვის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ“, მე-4 პუნქტის მესამე და მეხუთე აბზაცების გარდა.

39. ნე-2 პუნქტის მესამე აბზაცი, მე-3 პუნქტის მეშვიდე აბზაცი და მე-9 პუნქტის მეოთხე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 23 დეკემბრის № 825 დადგენილებისა „ქვეყნის სამშენებლო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 14 აგვისტოს № 970 დადგენილების შესრულების ღონისძიებათა თაობაზე“.

40. მე-4 და მე-5 პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 21 აპრილის № 222 დადგე-

ეროვნული

ნილებისა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დარგებში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ათვისებისათვის კადრების მომზადება-გადამზადების პრაქტიკის სრულყოფის შესახებ“.

———————

## 114 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 4 ივნისის № 712 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის საფუძველზე, კანონმდებლობის სისტემატიზაციის მიზნით და „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, პროდუქციის ხარისხის საკითხებსა და ზოგიერთ სხვა საკითხზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 4 ივნისის № 712 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 30 დეკემბრის № 867 დადგენილება „სატვირთო საავტომობილო მეურნეობათა შემდგომი გამსხვილებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალიზებული ტვირთზიდვის განვითარების ზომების შესახებ“.

2. მე-14 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 7 მაისის № 357 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო დაზღვევის შემდგომი განვითარებისა და სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მუშაობის ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“.

| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ჯ. პატიაშვილი** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**ო. ჩერქეზია** |
|---|---|

ქ. თბილისი, 22 ნოემბერი, 1988 წ. № 555

## 115 პარტიული ორგანოების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების აპარატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გამოთავისუფლებულ მუშაკთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ

„პარტიული ორგანოების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების აპარატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გამოთავისუფლებულ მუშაკთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 17 ნოემბრის № 1328 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ



საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს პარტიული ორგანოების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების აპარატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გამოთავისუფლებული მუშაკებისათვის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შემდეგი პირობები:

— შეუნარჩუნდეთ როგორც უშუალოდ ზემოაღნიშნული ორგანოების აპარატში, ისევე სხვა ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, საწარმოებსა და გაერთიანებებში სამუშაოდ გადასაყვან მუშაკებს, მათ შორის შესაბამის თანამდებობებზე მათი არჩევის დროსაც, სარგოები, რომელთაც იღებდნენ ისინი წინანდელ სამუშაო ადგილზე (თუ ახალ სამუშაო ადგილზე სარგოები წინანდელზე ნაკლებია), ახალ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდისათვის;

— შეუნარჩუნდეთ გამოთავისუფლებულ მუშაკებს მათი დამოუკიდებელი შრომითი მოწყობისას თანამდებობრივი სარგოები, რომელთაც ისინი იღებდნენ წინანდელ სამუშაო ადგილზე, შრომითი მოწყობის პერიოდისათვის, მაგრამ არა უმეტეს 3 თვისა;

— შეუნარჩუნდეთ ზემოაღნიშნულ მუშაკებს უწყვეტი მუშაობის სტაჟი, თუ მუშაობის წყვეტილობა სამ თვეს არ აღემატება;

— მიეცეთ სხვაგან სამუშაოდ გადასაყვან მუშაკებს ერთდროული დახმარება ორი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. ერთდროული დახმარება ოჯახის თითოეული გადამსვლელი წევრისათვის გაიცეს მუშაკისათვის მისაცემი დახმარების მეოთხედის ოდენობით. ახალ სამუშაო ადგილზე თვით მუშაკისა და მისი ოჯახის წევრთა გადასვლასთან დაკავშირებული სხვა კომპენსაციები განხორციელდეს „სხვაგან სამუშაოდ გადასვლისას გარანტიებისა და კომპენსაციების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 15 ივლისის № 677 დადგენილებით განსაზღვრული წესით;

— შეუნარჩუნდეთ გამოთავისუფლებულ მუშაკებს წინანდელ სამუშაო ადგილზე მოქმედი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფისა და სამედიცინო მომსახურების პირობები ახალ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდისათვის.

2. დაწესდეს, რომ აპარატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით პარტიული ორგანოების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების აპარატიდან გამოთავისუფლებულ მუშაკებს მოხუცებულობის პენსია ენიშნებათ: მამაკაცებს, რომელთაც გამოთავისუფლების დღისათვის შეუსრულდათ 58 წელი, ქალებს — 53 წელი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 3 აგვისტოს № 590 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ დებულებით გათვალისწინებული სხვა პირობების დაცვით.

3. დაევალოთ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს:

— მისცენ პარტიული ორგანოების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების აპარატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გამოთავისუფლებულ მუშაკებს, აგრეთვე მათი ოჯახების წევრებს სხვაგან

მუდმივ სამუშაოზე გადაყვანისას რიგგარეშე საცხოვრებელი ფართობი და ბავშვებისათვის ადგილები საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში;

— დაჯავშნონ მუშაკის სურვილისამებრ მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართობი სხვაგან სამუშაოდ გადასვლის შემთხვევაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ჯ. პატიაშვილი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ო. ჩერქეზია

ქ. თბილისი, 22 ნოემბერი, 1988 წ. № 556

## 116 „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 4 ივნისის № 400 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

რესპუბლიკის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების, საქონელბრუნვის გადიდებისა და ღვინო-არყის ნაწარმის ვაჭრობის მოწესრიგების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ჩამოყალიბდეს „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 4 ივნისის № 400 დადგენილების მე-19, 21-ე და 22-ე პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„19. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ (ამხ. ჯინჯიხაძე), ცეკავშირის გამგეობამ (ამხ. შავიშვილი), სავაჭრო ქსელის მქონე სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— ნება დართონ ღვინო-არყის ნაწარმისა და ლუდის გაყიდვა დიდი სასურსათო მაღაზიებისა და უნივერსალური თვითმომსახურების მაღაზიების საერთო სავაჭრო დარბაზებში ცალკე განლაგებული დახლიდან ან თვითმომსახურების სექციაში;

—ნება დართონ ღვინო-არყის ნაწარმისა და ლუდის გაყიდვა ყველა რესტორანში;

— ნება დართონ შამპანურის, მშრალი ღვინოებისა და ლუდის გაყიდვა I და II სადანარიცხო კატეგორიების საზოგადოებრივი კვების საწარმოებში.

21. დაშვებული არ იქნეს ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებებისა და სკოლების მახლობლად, ქარხნების გასასვლელებთან, მშრომელთა დასვენების ადგილებში და ტრანსპორტზე.

22. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან ერთად განსაზღვრონ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების ქსელის დისლოკაცია ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით და დააწესონ მათ მიერ ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვის რეჟიმი.

2. დაემატოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 4 ივნისის № 400 დადგენილების მე-2 პუნქტს შემდეგი შინაარსის მეხუთე აბზაცი:

„— მიიჩნიონ სიფხიზლისათვის ბრძოლის გადაჭრით გაძლიერება ყველა პარტიული, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივების, სამართალდამცველი ორგანოების განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმედ; იხელმძღვანელონ რა ალკოჰოლსაწინააღმდეგო კანონმდებლობის დებულებებით, არ დაუშვან არც პასიურობა, არც აჩქარება, ამასთან მთელი ყურადღება დაუთმონ პროფილაქტიკურ, აღმზრდელობით ღონისძიებებს, რესპუბლიკის მოსახლეობაში მტკიცე ალკოჰოლსაწინააღმდეგო რწმენის ფორმირებას, მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, შინაარსიანი დასვენების ორგანიზაციას, წარმოებაში დისციპლინის განმტკიცებას და საზოგადოებრივ ადგილებში წესრიგის დამყარებას“.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 18 იანვრის № 31 განკარგულებით აიკრძალა ალკოჰოლიანი სასმელების, მათ შორის ლუდის, რეალიზაცია საზოგადოებრივი კვების კოოპერატივებში.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ჯ. პატიაშვილი** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**ო. ჩერქეზია** |

ქ. თბილისი, 6 დეკემბერი, 1988 წ. № 580

## 117 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 13 ოქტომბრის № 1386 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსისა და მრეწველობის ზოგიერთი სხვა დარგის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 18 ივნისის № 759 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 13 ოქტომბრის № 1386 დადგენილება „1949 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში შავი და

ეროვნული

ფერადი ლითონის ჯართის დამზადებისა და გაგზავნის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ჯ. პატიაშვილი**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი, 6 დეკემბერი, 1988 წ. № 581

## 118 რესპუბლიკური საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“ შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სახაგრომრეწვის სამეურნეობათაშორისო და სხვა ორგანიზაციებში კაპიტალური მშენებლობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის წინადადება და რჩევა მიეცეს კოლმეურნეობათა რესპუბლიკურ საბჭოს შექმნას რესპუბლიკური საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო გაერთიანება რესპუბლიკური სახელმწიფო-კოოპერაციული სამშენებლო გაერთიანება „საქაგრომშენის“ რაიონული საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციების ბაზაზე.

შემდგომში ეწოდოს შექმნილ ორგანიზაციას რესპუბლიკური საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო გაერთიანება „საქკოლმეურნმშენი“.

2. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა:

— რესპუბლიკური საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“ შექმნით განახორციელოს რესპუბლიკური სახელმწიფო-კოოპერაციული სამშენებლო გაერთიანება „საქაგრომშენის“ შემადგენლობაში შემავალი ორგანიზაციებისა და საწარმოების დაყოფა;

— გადაწყვიტოს დადგენილი წესით ახალშექმნილი გაერთიანების სტრუქტურისა და საშტატო რიცხოვნობის საკითხი.

3. გაუთანაბრდეს რესპუბლიკური საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“ თავმჯდომარის თანამდებობა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფისა და სამედიცინო მომსახურების პირობების მიხედვით საქართველოს სსრ მინისტრის მოადგილეებს.

4. ნაწილობრივ შეიცვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 11 თებერვლის № 108 დადგენილება „რესპუბლიკური სახელმწიფო-კოოპერაციული სამშენებლო გაერთიანება „საქაგრომშენის“ შექმნის შესახებ“ — 1-ლ პუნქტში ამოღებულ იქნეს სიტყვები: „საქკოლმეურნმშენის“ ბაზაზე“.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ჯ. პატიაშვილი** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**ო. ჩერქეზია** |

ქ. თბილისი, 6 დეკემბერი, 1988 წ. № 582

## 119 საქართველოს სს რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების არსებული სისტემის ძირეული გარდაქმნის მიზნით და „სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სისტემის გარდაქმნის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 6 თებერვლის № 166 დადგენილების (თან ერთვის) შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ახალ საფუძველზე ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემის შესაქმნელად და გადავიდნენ უკვე მეთორმეტე ხუთწლედში კადრების პერიოდული სწავლებიდან უწყვეტ სწავლებაზე.

2. დაწესდეს, რომ სამინისტროთა და უწყებათა, გაერთიანებათა და საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა, საბჭოთა მეურნეობათა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა მუშაკთა კვალიფიკაციის უწყვეტი ამაღლების ორგანიზაციისათვის, მათი მაღალი პროფესიული დონის შენარჩუნებისათვის, როგორც საწარმოო, ისევე არასაწარმოო სფეროებში ახალი შრომითი ფუნქციების შესასრულებლად დროული მომზადებისათვის ამ მიზნით უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა პოტენციალის სრულად გამოყენებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაითვალოს კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება თითოეული ხელმძღვანელისა და სპეციალისტის პირდაპირ სამსახურებრივ მოვალეობად.

3. სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ეფექტიანობის უზრუნველყოფის, მათ მიერ პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის, მოწინავე საწარმოო-ეკონომიკური გამოცდილების შესწავლის და კადრების უწყვეტ სწავლებაში სამინისტროებისა და უწყებებისათვის ორგანიზაციულ-მეთოდიკური და საკონსულტაციო დახმარების გაწევის მიზნით შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტი, ამასთან განისაზღვროს მასში კვალიფიკაციის გამვლელ მუშაკთა კატეგორიები, № 1 დანართის თანახმად.

4. დაექვემდებაროს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის გაუქმებული სახელმწიფო კომიტეტის გამგებლობაში არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი უშუალოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და შემდგომში ეწოდოს მას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი. ამასთან შეუნარჩუნდეს კონტინგენტის კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება, № 2 დანართის თანახმად.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტმა და საქართველოს სსრ მინიტრთა საბჭოსთან არსებულმა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურმა დარგთაშორისმა ინსტიტუტმა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად სამი თვის ვადაში დააზუსტონ სახალხო მეურნეობის იმ ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კატეგორიები და რაოდენობა, რომლებმაც უნდა აიმაღლონ მათთან კვალიფიკაცია, და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მონაცემები 1989—1990 წლებისა და მეცამეტე ხუთწლედისათვის კონტინგენტზე მოთხოვნილების შესახებ სასწავლებელთა ტიპების, სწავლების ვადებისა და ფორმების მიხედვით მისი სანიმუშო განაწილების რეკომენდაციების თანახმად.

6. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახალხო განათლების საუწყებათაშორისო კომისიას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების საკითხთა საერთო ხელმძღვანელობა და კოორდინაცია.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურმა დარგთაშორისმა ინსტიტუტმა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად სამი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი 1989 წელს რესპუბლიკის კადრების კვალიფიკაციის

ამაღლებისა და გადამზადების სისტემის სასწავლებელთა ქსელის მოწესრიგე-ბის შესახებ, იმ ვარაუდით, რომ მისი ორგანიზაციის დარგობრივ-ტერიტორიული პრინციპი შეეხამებოდეს ფართო დარგთაშორის და რეგიონალურ კოოპერაციას.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურმა დარგთაშორისმა ინსტიტუტმა 1988 წლის ბოლომდე განსაზღვროს 1989 წლისათვის მოსამზადებელ მუშაკთა რაოდენობა, დაუდოს ხელშეკრულებანი სამინისტროებსა და უწყებებს და შეუდგეს სწავლებას 1989 წლიდან.

9. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— გამონახოს შენობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის დროებით მოსათავსებლად;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ დარგთაშორის ინსტიტუტთან შეთანხმებით გამოყოს მიწის ნაკვეთი ქალაქ თბილისის ფარგლებში ინსტიტუტის კომპლექსის ასაშენებლად.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარმა სამეურნეო სამმართველომ, სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურმა დარგთაშორისმა ინსტიტუტმა და საქართველოს სსრ სახმშენმა უზრუნველყონ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავება 1989—1991 წლებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის 15 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის სასწავლო კორპუსის და 900-ადგილიანი სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებლის ასაშენებლად.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურმა დარგთაშორისმა ინსტიტუტმა წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი სასწავლო კორპუსისა და სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებლის მშენებლობაში სამინისტროთა და უწყებათა წილობრივი მონაწილეობის განსასაზღვრავად.

12. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ 1989 წლისა და მომდევნო წლების გეგმის ფორმირებისას განიხილონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის ავეჯის, ინვენტარის ,მოწყობილობისა და ავტოტრანსპორტის საჭირო ლიმიტებით უზრუნველყოფის საკითხი მის მიერ წარდგენილი განაცხადების თანახმად.

ეროვნული

13. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ:

— გაითვალისწინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური დარგთაშორისი ინსტიტუტის ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის საჭირო სახსრების გამოყოფა 1989 წელს კადრების მომზადების ასიგნებათა ხარჯზე, იმ ვარაუდით, რომ, მოყოლებული 1990 წლიდან, ინსტიტუტი გადავიდეს სამეურნეო ანგარიშის პირობებში მუშაობაზე;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ დარგთაშორის ინსტიტუტთან ერთად შეიმუშაოს და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ინსტიტუტის სტრუქტურა და საშტატო განრიგი.

14. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის კულტურისა და განათლების განყოფილებას.

| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| --- | --- |
| **ჯ. პატიაშვილი** | **ო. ჩერქეზია** |

ქ. თბილისი, 6 დეკემბერი, 1988 წ. № 596

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 6 [illegible] № 596 დადგენილების დანართი № 1

## ნ უ ს ხ ა

### ხელმძღვანელ მუშაკთა (მათი რეზერვის) და სპეციალისტთა კატეგორიებისა, რომლებმაც უნდა აამაღლონ კვალიფიკაცია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ დარგთაშორის ინსტიტუტში

სამინისტროთა და უწყებათა ცენტრალური აპარატის მუშაკები, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები და მთავარი სპეციალისტები, მათი მოადგილეები.

საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საამქროთა, განყოფილებათა და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები.

უბნების, ცვლების უფროსები, ოსტატები და შესაბამის კატეგორიათა სხვა მუშაკები

უმაღლესი განათლების სპეციალისტები.

საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტები.

ეროვნული

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 6 დეკემბრის № 596 დადგენილების დანართი № 2

## ნ უ ს ხ ა

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის მსმენელთა კონტინგენტისა

1. საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრების მოადგილეები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეთა მოადგილეები და მთავარი სამმართველოების უფროსთა მოადგილეები და მათი რეზერვი.

2. საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებების გამგეთა მოადგილეები, რეფერენტები, საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებების გამგეთა მოადგილეები, სექტორების გამგეები, რეფერენტები და მათი რეზერვი.

3. საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავარ სამმართველოთა უფროსები და მათი მოადგილეები, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, მთავარი სამმართველოების განყოფილებათა გამგეები და მათი რეზერვი.

4. საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მოადგილეები — საგეგმო კომისიების თავმჯდომარეები, საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომების სამმართველოთა და განყოფილებათა უფროსები და მათი რეზერვი.

5. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების მსხვილ გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები და მათი რეზერვი.

6. ხელმძღვანელ მუშაკთა სხვა კატეგორიები რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოებთან შეთანხმებით.

7. ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სისტემის მასწავლებლები.

---

ეროვნული

## 120 ქალაქ რუსთავისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1988 წელს საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების შესრულების საქმეში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის დაჯილდოვდეს რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით და მიეცეს ფულადი პრემია 1 ათასი მანეთის ოდენობით ქალაქ რუსთავის ადგილობრივი საბჭოების, სამეურნეო ორგანოებისა და სამოქალაქო თავდაცვის შტაბის ყველაზე თავგამოჩენილ მუშაკთა პრემირებისათვის.

საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცის შტაბმა გასცეს ფულადი პრემია სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებათა ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ეკონომიის სახსრებიდან.

| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
|---|---|
| **ჯ. პატიაშვილი** | **ო. ჩერქეზია** |

ქ. თბილისი, 20 დეკემბერი, 1988 წ. № 629

## 121 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 26 აგვისტოს № 672 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის და 1988 წელს ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიების მინიჭების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაერქვას ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიას „ხუთწლედის მატიანეს“ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საქართველოს სსრ მინისტთა საბჭოს პრემია.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 26 აგვისტოს № 672 დადგენილება ზემოაღნიშნული პრემიის დასახელების ნაწილში.

3. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელობის სახელმწიფო პრემიებას კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ 1988 წელს ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემია მიენიჭოთ:

**ლიტერატურის დარგში:**

**ხუტა ლავრენტის ძე გაგუას**, პოეტს — უკანასკნელი წლების ლექსებისათვის, რომლებიც შევიდა კრებულში „ლირიკა“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1988 წ.).

**სახვითი ხელოვნების დარგში:**

**ხასან დურსუნის ძე ინაიშვილს**, მხატვარს — უკანასკნელი წლების ფერწერული ნამუშევრებისათვის: „ბათუმი შენდება“, „ტყისმჭრელები“, „ძველი ეზო ბათუმში“, „პეიზაჟი“, „აჭარა“ და სხვ.

**მუსიკალური ხელოვნების დარგში:**

**ნიკოლოზ ივანეს ძე გუდიაშვილს**, კომპოზიტორს — 1987 წელს შექმნილი კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოებებისათვის (№ 5 სიმებიანი კვარტეტი და № 2 საფორტეპიანო კვინტეტი).

**თეატრალური ხელოვნების დარგში:**

**ანზორ მიხეილის ძე დოლენჯაშვილს**, რეჟისორს — საინგილოს ილია ჭავჭავაძის სახელობის სახალხო თეატრის სცენაზე (აზერბაიჯანის სსრ კახის რაიონის სოფელი ალიბეგლო) უკანასკნელ წლებში განხორციელებული ბ. ლავრენიევის პიესის „ორმოცდამეერთის“ და ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნის“ დადგმებისათვის.

**პუბლიცისტიკის დარგში:**

**ვახტანგ რომანოზის ძე ჯავახაძეს**, პოეტს — დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისადმი მიძღვნილი მხატვრულ-პუბლიცისტური წიგნისათვის „უცნობი“ (გამომცემლობა „ნაკადული“, 1988 წ.).

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. პატიაშვილი** | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია** |

ქ. თბილისი, 20 დეკემბერი, 1988 წ. № 630

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

## 122 ომისა და შრომის ვეტერანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ

„ომისა და შრომის ვეტერანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1988 წლის 12 მაისის № 621 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა პროფკავშირთა კომიტეტების მონაწილეობით:

— უზრუნველყონ მიმდინარე ხუთწლედის ბოლომდე ცალკე ბინით ან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლით 1988 წლის 1 იანვრამდე აღრიცხვაზე აყვანილი ომის ყველა ინვალიდი, დაღუპულ მეომართა და დადგენილი წესით მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახები, რომლებსაც ბინა ესაჭიროებათ; დააწესონ ამ მხრივ დანარჩენ ომის მონაწილეთა და ინტერნაციონალისტ მეომართა საბინაო პირობების გაუმჯობესების განსაზღვრული შემჭიდროებული ვადები;

— გააუმჯობესონ ომისა და შრომის ვეტერანთათვის, მარტოხელა ხანდაზმულ მოქალაქეთათვის საცხოვრებელი ფართობის გამოყოფის წესი, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ რაც შეიძლება უფრო სრულად დააკმაყოფილონ მათი თხოვნა გამოსაყოფი ბინის ნათესავთა და მახლობელთა საცხოვრებელ ადგილთან მიახლოების და ზედა სართულებზე არსებული საცხოვრებელი ფართობის ქვედა სართულებზე განლაგებული ბინებით შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ მიიღოს ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ ომის ინვალიდთა ბინების ტელეფონიზაციას ხუთწლედის ბოლომდე, ხოლო დანარჩენი ომის მონაწილეებისა — არა უგვიანეს 1993 წლისა.

2. საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა პროფკავშირის კომიტეტებთან და შრომითი კოლექტივების საბჭოებთან ერთად, იხელმძღვანელონ რა სსრ კავშირის კანონით სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, გააძლიერონ ყურადღება ომისა და შრომის ვეტერანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საკითხებისადმი, ამისათვის უფრო სრულად გამოიყენონ საკუთარი სახსრები და შესაძლებლობანი; გააფართოონ პენსიონერთა ჩაბმა შრომითი კოლექტივის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უფრო აქტიურად გამოიყენონ მათი დიდი ცხოვრებისეული და პროფესიული გამოცდილება ახალგაზრდობის აღსაზრდელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, ცეკავშირის გამგეობამ შეიმუშაონ და განახორციელონ 1988—1989 წლებში კონკრეტული ღონისძიებანი იაფი საქონლის, დიეტური და სამკურნალო კვების პროდუქტების წარმოების გადიდებისა და მათზე პენსიონერთა და ინვალიდთა მოთხოვნილების რაც შეიძლება უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის.

4. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან, ცეკავშირის გამგეობასთან, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან ერთად მიიღონ ზომები ომის ინვალიდთა, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ხანდაზმულ შრომისუუნარო მოქალაქეთა მომსახურებას.

5. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ:

— ომისა და შრომის ინვალიდთა, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მომსახურებისათვის სპეციალიზებული მაღაზიების, განყოფილებების ქსელის გაფართოების მიზნით დამატებით გახსნან 1988—1989 წლებში ქ. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, რუსთავში საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემის მაღაზიები, ხოლო რაიონულ ცენტრებში — სამომხმარებლო კოოპერაციის მაღაზიები.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ გასახსნელი მაღაზიებისათვის სადგომების გამოყოფა;

— ფართოდ შემოიღონ პრაქტიკაში მარტოხელა შრომისუუნარო და ხანდაზმულ მოქალაქეთა ბინაზე მომსახურება.

6. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ:

— უზრუნველყოს ხანდაზმულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების მუშაობის გაუმჯობესება, გააძლიეროს კონტროლი იქ მცხოვრებთა კვების მდგომარეობის, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების, სამედიცინო მომსახურებისადმი;

— მიიღოს კონკრეტული ზომები ხანდაზმულ და შრომისუუნარო მოქალაქეთა მომსახურების ორგანიზაციის ახალი ფორმების შემდგომი განვითარებისათვის;

— გააუმჯობესოს სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივ განყოფილებებთან შექმნილი მარტოხელა ხანდაზმულებისა და ინვალიდებისათვის ბინაზე სოციალური დახმარების გაწევის განყოფილებათა და ამ მიზნით გამოყოფილ სპეციალურ მუშაკთა საქმიანობა; მიაღწიონ იმას, რომ 1989 წელს ასეთი დახმარება გაეწიოს ყველა მარტოხელა ხანდაზმულ და შრომისუუნარო მოქალაქეს, რომელსაც იგი სჭირდება.

7. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა საქართველოს სსრ დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყონ ჯეროვანი კონტ-

როლი იმისადმი, რომ იმ პირთა სიები, რომლებიც შეღავათიანი სამედიცინო მომსახურებით სარგებლობენ, ზუსტად შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

8. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივმა ორგანოებმა და დაწესებულებებმა აამაღლონ ხანდაზმულთა და ინვალიდთათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხი და კულტურა, უზრუნველყონ პენსიონერთა ყოველწლიური დისპანსერიზაციის ჩატარება.

ომის ინვალიდთა და მონაწილეთა მკურნალობის პირობების სერიოზული გაუმჯობესების გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მიიღოს ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ ომის ინვალიდთა და მონაწილეთა ახალი რესპუბლიკური ჰოსპიტლის მშენებლობის დაწყებას 1989 წელს ქალაქ თბილისში.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გადასცა 160-ადგილიანი პანსიონატი „კრწანისი“ და ამჟამად ზემოაღნიშნული სამინისტრო ახორციელებს სამუშაოებს ომისა და შრომის ვეტერანთა სარეაბილიტაციო სამედიცინო დაწესებულებად მისი გადაკეთებისათვის.

9. რჩევა მიეცეს საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს გააფართოოს მოწყალების სამსახურები და სამედიცინო-სანიტარიული დახმარების გაწევა მარტოხელა ხანდაზმულებისა და ინვალიდებისათვის.

10. იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საექიმო-შრომითი ექსპერტიზისა და შრომისუნარიანობის აღდგენის რესპუბლიკური ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და გაფართოება ესაჭიროება, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს 1989—1993 წლებში ახალი კორპუსის დაპროექტება და მშენებლობა ამ ცენტრის ტერიტორიაზე.

11. ინვალიდთა სოციალურ-შრომითი რეაბილიტაციის გასაუმჯობესებლად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მიზნით და „ნაკლებუზრუნველყოფილი პენსიონერებისა და ოჯახების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების, მარტოხელა ღრმად მოხუცებული მოქალაქეებისათვის ზრუნვის გაძლიერების პირველი რიგის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1985 წლის 1 ოქტომბრის № 644 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გაითვალისწინონ ინვალიდთა აღდგენითი მკურნალობის რესპუბლიკური ცენტრის დაპროექტება და მშენებლობა მეცამეტე ხუთწლედში ქალაქ თბილისში.

12. საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტმა დაამთავროს 1989 წელს ომისა და შრომის ვეტერანთა პანსიონატის მშენებლობა ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში და რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქაგ-

**რომშენმა“ — ფერიის სახლ-ინტერნატის რეკონსტრუქცია ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ფერიაში.**

13. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადება იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გადასცეს განთავისუფლებული შენობა ომის ინვალიდთა და ვეტერანთა პოლიკლინიკის მოსაწყობად.

14. ქ. თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 24 თებერვლის № 124 დადგენილებით გათვალისწინებული ომისა და შრომის მარტოხელა ხანდაზმულ ვეტერანთა საცხოვრებელი სახლების ბლოკ-სექციების (სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამსახურების კომპლექსითურთ) მშენებლობა 1989-1990 წლებში.

15. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს 1988 წლის 12 მაისის № 621 დადგენილებით:

— საჭიროდ ჩაითვალა:

გადიდდეს ვადამდე, 1989 წლის 1 იანვრიდან (ნაცვლად წინათ დაწესებული ვადისა — 1990 წლის ნოემბრისა), ხანდაზმულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში კვებისა და მედიკამენტების ხარჯვის ფულადი ნორმები, ამასთან ეს ღონისძიება დაფინანსდეს პროფკავშირული ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე;

გაუდიდდეთ 1988 წლის 1 ივლისიდან ხანდაზმულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში მცხოვრებთ მინიმალური ფულადი თანხა პირადი ხარჯებისათვის 5-დან 10 მანეთამდე თვეში, ხოლო იმ შემთხვევებში, როცა პენსიის ოდენობა აღემატება სახლ-ინტერნატში მოვლა-პატრონობის ღირებულებას, მიეცეთ მათ პენსიისა და ზემოაღნიშნული ღირებულების სხვაობა, მაგრამ არა უმეტეს 10 მანეთისა;

— ნება დაერთოთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს ჩაატარონ ომის ინვალიდთა, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა და დადგენილი წესით მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების კუთვნილი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტი ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე, თითოეული სახლისათვის 1 ათასი მანეთის ფარგლებში;

— დიდი სამამულო ომის წლებში ზურგში თავდადებული შრომისა და უმწიკვლო სამხედრო სამსახურისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ პირებზე გავრცელდა სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან ომის მონაწილეთათვის დაწესებული შემდეგი შეღავათები და უპირატესობანი:

მოხუცებულობის პენსიის 20-პროცენტიანი დანამატის უფლება ერთ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში უწყვეტი მუშაობის სტაჟისათვის მუშაობის საჭირო საერთო სტაჟის არსებობისას, მიუხედავად იმისა, მუშაობდნენ თუ არა ისინი 1983 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ან მოგვიანებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმის რეცეპტით შესაძენი წამლების ღირებულების 50-პროცენტიანი ფასდაკლების უფლება პენსიონერებზე, რომლებიც იღებენ თვეში 80 მანეთამდე პენსიას;

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის უპროცენტო სესხის მიღების უფლება სამამულო ომის ინვალიდთათვის გათვალისწინებული წესით;

საბაღე სახლების შესაძენად ან ასაშენებლად და საბაღე ნაკვეთების კეთილმოსაწყობად უპროცენტო სესხის მიღების უფლება;

მათთვის მოსახერხებელ დროს ყოველწლიური მორიგი შვებულების გამოყენების, აგრეთვე წელიწადში ორ კვირამდე ვადით უხელფასო დამატებითი შვებულების მიღების უფლება;

პენსიაზე გადასვლისას იმ პოლიკლინიკებით სარგებლობის უფლება, რომლებთანაც იყვნენ ისინი მიმაგრებული მუშაობის პერიოდში;

მებაღეობის ამხანაგობაში (კოოპერატივში) მიღების, ტელეფონის დადგმის, ბინის რემონტის უპირატესი უფლება.

16. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი დაეკისროთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის განყოფილებას და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სოციალური დაზღვევის განყოფილებას.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**ო. ჩერქეზია** | საქართველოს პროფკავშირთა<br>რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე<br>**ვ. სირაძე** |

ქ. თბილისი, 15 დეკემბერი, 1988 წ. № 586

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

### 123 „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 25 ოქტომბრის № 482 დადგენილების გაუქმების თაობაზე

იმასთან დაკავშირებით, რომ შემოსულია მშრომელების, შოთა რუსთაველის საზოგადოების, რიგი ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების წინადადებანი, აგრეთვე გამოვლინდა მიწათსარგებლობის შესახებ კანონის დარღვევის ფაქტები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 25 ოქტომბრის № 482 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული საკითხის დამატებით შესასწავლად შეიქმნას კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: გ. დ. მგელაძე, ო. გ. ვარძელაშვილი, ზ. ა. ლაბახუა, გ. ზ. მირიანაშვილი, ვ. ა. შარაშენიძე, დ. ნ. დვალიშვილი, ნ. ნ. ნეფედოვი, ნ. მ. მგალობლიშვილი, რ. ბ. ამაშუკელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიჩვავა**

ქ. თბილისი, 1 ნოემბერი, 1988 წ. № 508

## 124 საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის მეთევზეობის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების შექმნის შესახებ

რესპუბლიკის შინაწყალსატევების უფრო ეფექტიანი გამოყენების მიზნით და „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თევზის მეურნეობის სამმართველოს გაუქმების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 25 აგვისტოს № 387 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, და შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაუქმებული თევზის მეურნეობის სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა და საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის მეთევზეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს ბაზაზე საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის მეთევზეობის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქთევზმეურნეობა“.

2. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა:

— უზრუნველყოს დადგენილი წესით მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციის დროულად გაფორმება სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით;

— შეიმუშაოს და დაამტკიცოს მეთევზეობის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების მმართველობის აპარატის სტრუქტურა, სქემა, საშტატო განრიგი და დებულება;

— დააკომპლექტოს შექმნილი გაერთიანება კვალიფიციური სპეციალისტებით;

— უზრუნველყოს მეთევზეობის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების მეშვეობით მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ სახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრომრეწვის სამეურნეობათაშორისო თევზის საწარმოებისა და მეთევზეობის კოლმეურნეობების საქმიანობისადმი.

3. მეთევზეობის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეიტანოს საჭირო ცვლილებანი საკვები თევზპროდუქციის წარმოებისა და შინაწყალსატევებში თევზჭერის 1988—1989 წლების სახელმწიფო შეკვეთაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 4 ნოემბერი, 1988 წ. № 516

## 125 „მოსკვიჩისა“ და „ზაპოროჟეცის“ მარკის ავტომობილების განვადების წესით რეალიზაციის შეწყვეტის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

იმასთან დაკავშირებით, რომ საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობის მოთხოვნილება „მოსკვიჩისა“ და „ზაპოროჟეცის“ მარკის ავტომობილებზე, მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს წინადადება და 1988 წლის 15 ნოემბრიდან სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საწარმოებმა შეწყვიტონ მათი რეალიზაცია განვადების წესით.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 25 დეკემბრის № 821 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 5 ნოემბერი, 1988 წ. № 519

## 126 საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „სსრ კავშირში სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების დამტკიცებისა და სახელმწიფო არბიტრაჟების მიერ სამეურნეო დავის განხილვის წესების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 16 აპრილის № 490 დადგენილების შესაბამისად დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 8 სექტემბრის № 681 დადგენილება „საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 10 ნოემბერი, 1988 წ. № 528

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 10 ნოემბრის № 528 დადგე-
ნილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების შესახებ

1. „სსრ კავშირში სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქმედებენ:

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი;

აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟი;

აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟი;

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არბიტრაჟი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი არის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო და ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟის ყველა ორგანოს საქმიანობის ორგანიზაციის, მდგომარეობისა და სრულყოფისათვის.

2. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას — შესაბამისად — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოებისა და მათი პრეზიდიუმების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, აგრეთვე სახელმწიფო არბიტრაჟის ზემდგომი ორგანოების ხელმძღვანელობით.

სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მუშაობას მათი იმ ფუნქციების განსახორციელებლად, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო მეურნეობაში სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვასთან და სამეურნეო ურთიერთობაში კანონიერების დარღვევათა თავიდან აცილებასთან, სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების სრულყოფის თაობაზე წინადადებათა შემუშავებასთან, აგრეთვე სამეურნეო დავის გადამწყვეტ სხვა ორგანოთა საქმიანობისადმი კონტროლთან და მათ ინსტრუქტირებასთან, წარმართავენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

ხელმძღვანელობა გაუწიოს სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს საქართველოს სს რესპუბლიკაში;

უზრუნველყოს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟების, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების არბიტრაჟების, საქართველოს სსრ სხვა ორგანოების მიერ კანონმდებლობის ერთგვაროვნად და სწორად გამოყენება სამეურნეო დავის გადაწყვეტისას;

ბიბ. /12ბ
ეროვნული

უზრუნველყოს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვა „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონის და ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის ძირეული გარდაქმნის შესახებ სხვა საკანონმდებლო აქტების დებულებათა განუხრელი განხორციელების საფუძველზე;

აქტიური ზემოქმედება მოახდინოს საწარმოებზე, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე, მათს ზემდგომ ორგანოებზე (სამინისტროებზე, სახელმწიფო კომიტეტებზე, უწყებებზე ან სხვა ზემდგომ ორგანოებზე) და თანამდებობის პირებზე მათ მიერ სოციალისტური კანონიერების, სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფის, საგეგმო დავალებათა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა უცილობლივ შესრულების მიზნით;

შეიმუშაოს წინადადებანი და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების სრულყოფას.

4. საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები:

ა) ყოველმხრივ იყენებენ სამართლებრივ საშუალებებს და მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას სოციალისტური საკუთრების დაცვის გაძლიერების, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და ხელშეკრულების როლის ამაღლების, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპების, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შორის რაციონალური სამეურნეო ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარების, სახალხო მეურნეობაში ეკონომიის რეჟიმის გაძლიერების და დანაკარგებთან, სამეურნეო საქმიანობაში კუთხურობისა და უწყებრიობის გამოვლინებებთან ბრძოლის გააქტიურების მიზნით, ამასთან ხელს უწყობენ სოციალისტური ეკონომიკის დინამიკურ, გეგმაზომიერ და პროპორციულ ზრდას, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის პარტიის კურსის განხორციელებას;

ბ) უზრუნველყოფენ:

— საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, სამეურნეო დავის დროულად განხილვას, ამ დავის გადაწყვეტისას კანონმდებლობის ერთგვაროვნად და სწორად გამოყენებას, სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების საკითხებზე საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების კანონმდებლობის საწინააღმდეგო სამართლებრივი აქტების გამოვლენას, სახალხო მეურნეობაში სახელშეკრულებო და საპრეტენზიო მუშაობის გაუმჯობესებისათვის ყოველმხრივ ხელშეწყობას, სამეურნეო საქმიანობაში კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევათა და ნაკლოვანებათა თავიდან აცილებას, ამასთან აღწევენ ეკონომიკაში სამართალდარღვევათა ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრას;

— საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივებთან ურთიერთობის გაფართოებას სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის, არბიტრაჟამდე დავის დაუსაბუთებლად მიყვანის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, ამ საქმეში თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის ამაღლების, სამეურნეო საქმიანობაში კანონიერების დარღვევით დამნაშავე პირთა მიერ გამოწვეული მატერიალური ზარალის ანაზღაურების მიზნით;

— კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულებას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი წარმართავს საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მუშაობას ყველა ზემოაღნიშნული ამოცანის შესასრულებლად.

5. საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით და სხვა საკანონმდებლო აქტებით, სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და დადგენილებებით, აგრეთვე ამ დებულებით.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არბიტრაჟები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ, გარდა ამისა, შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით, ავტონომიური რესპუბლიკების კანონებით, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და მათი პრეზიდიუმების სხვა გადაწყვეტილებებით, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებითა და განკარგულებებით და სხვა საკანონმდებლო აქტებით, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებით, აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და დადგენილებებით.

6. საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები:

ა) შეიმუშავებენ და განახორციელებენ ღონისძიებებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად;

ბ) განიხილავენ სამეურნეო დავას დაწესებული ნომენკლატურის შესაბამისად;

გ) განიხილავენ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სახელმწიფო საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა განცხადებებს იმის შესახებ, რომ მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ჩაითვალოს ზემდგომი ორგანოების აქტები, რომლებიც ეხება ამ საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს, არ შეესაბამება ზემოაღნიშნულ ორგანოთა კომპეტენციას ან გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) განახორციელებენ დადგენილი წესით ზედამხედველობას მოკავშირე რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟების გადაწყვეტილებათა კანონიერებისადმი;

ე) განახორციელებენ ღონისძიებებს თავიანთი მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის, მოკავშირე რესპუბლიკაში სხვა სამართალდამცველ, აგრეთვე მაკონტროლებელ ორგანოებთან ურთიერთმოქმედების გაუმჯობესებისათვის;

ვ) შეისწავლიან და განაზოგადებენ სამეურნეო დავის გადაწყვეტისას, მათი არბიტრაჟამდელი მოგვარებისას, აგრეთვე სახელშეკრულებო მუშაობის განხორციელებისას კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას და ამის საფუძველზე შეიმუშავებენ და დადგენილი წესით შეიტანენ წინადადებებს სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების, სახელმწიფო არბიტრაჟების ორგანოთა და სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების არბიტრაჟთა და სამეურნეო დავის გადამწყვეტ სხვა ორგანოთა საქმიანობის სრულყოფის შესახებ;

ზ) ეწევიან მუშაობას კადრების შერჩევის, განაწილებისა და რეზერვის შესაქმნელად, სამსახურებრივი მოვალეობის უნაკლოდ შესრულებისათვის პასუხისმგებლობისა და მომთხოვნელობის სულისკვეთებით მათ აღსაზრდელად, უზრუნველყოფენ კადრების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, მათი ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის საჭირო პირობების შექმნას, ხელმძღვანელ სამუშაოზე პოლიტიკურად მომწიფებულ და ისეთ სპეციალისტთა დაწინაურებას, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი, ხელს უწყობენ საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოთა მუშაკებისათვის ჯეროვანი შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას;

თ) აწარმოებენ საარბიტრაჟო სტატისტიკას.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები ასრულებენ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს ისე, რომ არ უშვებენ ჩარევას სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ოპერატიულ საქმიანობაში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი, გარდა ამისა:

— გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში არბიტრაჟის ორგანოებისათვის, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სავალდებულო საინსტრუქციო მითითებებს სამეურნეო დავის გადაწყვეტისა და მისი არბიტრაჟამდელი მოგვარებისას, აგრეთვე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სახელშეკრულებო მუშაობის განხორციელებისას საქართველოს სსრ კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე;

— სისტემატურად შეამოწმებს საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების საქმიანობას, მოისმენს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არბიტრაჟთა ანგარიშებს;

ეროვნული

— შეისწავლის, განაზოგადებს და გაავრცელებს საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოთა მუშაობის დადებით გამოცდილებას;

— ორგანიზაციას გაუწევს საკადრო მუშაობას საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებში;

— ორგანიზაციას გაუწევს მუშაობას საარბიტრაჟო სტატისტიკის წარმოებისათვის;

— ორგანიზაციას გაუწევს სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოთა საქმიანობის სამართლებრივ პრობლემებზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განხორციელებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხორციელებას. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე მათი გავლენის გაძლიერებას, უზრუნველყოფს ამ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების დანერგვას პრაქტიკაში;

— ორგანიზაციას გაუწევს საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოთა მუშაობას სამეურნეო კანონმდებლობის პროპაგანდისათვის.

7. საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები ახორციელებენ კონტროლს სახალხო მეურნეობაში სახელშეკრულებო დისციპლინისა და სამეურნეო დავის არბიტრაჟამდელი მოგვარების წესების დაცვისადმი.

ამ მიზნით სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული წესით:

— შეამოწმებენ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვას ხელშეკრულებათა დადების, ვალდებულებათა შესრულების, დაშვებული დარღვევებისათვის ქონებრივი სანქციების გამოყენებისა და დავის არბიტრაჟამდელი მოგვარების საკითხებზე, ხოლო სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებში — ამ მუშაობის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის პრაქტიკას; მიიღებენ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან მათთან არსებულ დაწესებული ანგარიშგების მონაცემებს ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების შესახებ; მოისმენენ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირთა ინფორმაციებს ხელშეკრულებათა დადებისა და ვალდებულებათა შესრულებისათვის მუშაობაში კანონმდებლობის დარღვევის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ;

— მისცემენ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებსა და სხვა თანამდებობის პირებს შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს იმის შესახებ, რომ აღმოფხვრან ხელშეკრულებათა დადებისა და დავის არბიტრაჟამდელი მოგვარების წესის თაობაზე კანონმდებლობის დარღვევები, აგრეთვე განიხილონ სამეურნეო საქმიანობაში სახელმწიფო არბიტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟების მიერ გამოვლენილ კანონმდებლობის დარღვევებთან დაკავშირებით მიყენებული ზარალის გამო დამნაშავე პირთათვის დადგენილი წესით მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი საქართველოს სსრ სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან და უწყებებთან ერთად, რომლებიც ახორციელებენ დარგთაშორისი მართვის ფუნქციებს, შეიმუშავებს და გამოსცემს მითითებებს სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებისათვის მუშაობის ორგანიზაციის საკითხებზე.

8. სამეურნეო საქმიანობაში კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევათა და ნაკლოვანებათა თავიდან აცილების მიზნით საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები:

— განიხილავენ დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამეურნეო დავას უშუალოდ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და მათ ზემდგომ ორგანოებში;

— პროპაგანდას უწევენ სამეურნეო კანონმდებლობას;

— შეიმუშავებენ წინადადებებს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობაში კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევათა და ნაკლოვანებათა თავიდან ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად, აგრეთვე დარღვევათა და ნაკლოვანებათა მიზეზების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად, შეიტანენ დადგენილი წესით ამ წინადადებებს — შესაბამისად — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების განსახილველად;

— შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან და უწყებებთან, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან, საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ერთად განიხილავენ იმ ღონისძიებათა შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომ თავიდან იქნეს აცილებული, აგრეთვე აღმოიფხვრას სახელმწიფო არბიტრაჟების მიერ გამოვლენილი კანონიერების დარღვევები და ნაკლოვანებანი სამეურნეო საქმიანობაში;

— გაუგზავნიან დადგენილი წესით საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, მათ ზემდგომ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს შეტყობინებებს სამეურნეო საქმიანობაში კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის გამოვლენილ დარღვევათა და ნაკლოვანებათა შესახებ, ამასთან წინადადებას მისცემენ აღმოფხვრან ისინი, აგრეთვე დააკისრონ პასუხისმგებლობა დამნაშავე პირებს და აანაზღაურებინონ მათ მიყენებული მატერიალური ზარალი.

საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და მათ ზემდგომ ორგანოთა ხელმძღვანელები, რომლებიც სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოთა შეტყობინებას მიიღებენ, მოვალენი არიან მიიღონ ზომები შეტყობინებებში აღ-

ეროვნული

ნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და აცნობონ სახელმწიფო არბიტრაჟს მიღებული ზომების შესახებ შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

სამეურნეო საქმიანობაში კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის გამოვლენილ დარღვევათა და ნაკლოვანებათა შესახებ შეტყობინებანი საჭირო შემთხვევებში გაეგზავნებათ პროკურატურის, შინაგან საქმეთა და სხვა კომპეტენტურ ორგანოებს დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის საკითხის განსახილველად.

საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ სამეურნეო საქმიანობაში დაშვებულ კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის ყველაზე სერიოზულ დარღვევათა და ნაკლოვანებათა შესახებ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები მოახსენებენ — შესაბამისად — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები კოორდინაციას უწევენ თავიანთ საქმიანობას პროკურატურის, იუსტიციის, შინაგან საქმეთა, სასამართლოს, სახალხო კონტროლის შესაბამისი ორგანოებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობასთან.

9. სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების არბიტრაჟების, აგრეთვე სამეურნეო დავის გადამწყვეტი სხვა ორგანოების საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელების მიზნით საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული წესით:

— შეამოწმებენ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების არბიტრაჟების, აგრეთვე სამეურნეო დავის გადამწყვეტი სხვა ორგანოების მუშაობას, ინსტრუქტაჟს გაუწევენ მათ ასეთი დავის განხილვის ორგანიზაციისა და პრაქტიკის საკითხებზე და მისცემენ მითითებებს ამ მუშაობის სრულყოფისათვის;

— მისცემენ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების არბიტრაჟებს, სამეურნეო დავის გადამწყვეტ სხვა ორგანოებს შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს შემოწმების დროს გამოვლენილ სამეურნეო დავის გადაწყვეტისას დაშვებულ კანონმდებლობის დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ.

10. ამ დებულების მე-7 და მე-9 მუხლებში გათვალისწინებული სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოთა შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი უნდა შესრულდეს 10 დღის ვადაში და შედეგების შესახებ ეცნობოს სახელმწიფო არბიტრაჟის შესაბამის ორგანოს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება აქვს თავისი ინიციატივით გააუქმოს სახელმწიფო არბიტრაჟის ქვემდგომი ორგანოების მითითებანი.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით:

— დაამტკიცებს საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებებისა და მათი საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სავალდებულო სამეურნეო საქმიანობის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს, აგრეთვე განიხილავს შესათანხმებლად წარსადგენ ასეთი აქტების პროექტებს;

— მისცემს საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს ახსნა-განმარტებებს სამეურნეო საქმიანობის რეგულირების თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა გამოყენების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ გამოავლენენ სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების საკითხებზე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ზემდგომ ორგანოთა ნორმატიულ აქტებს, რომლებიც არ შეესაბამებიან კანონმდებლობას, სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები ასეთი აქტის დამამტკიცებელი რესპუბლიკური ან ადგილობრივი დაქვემდებარების სათანადო ორგანოს წინაშე დააყენებენ საკითხს, რომ შეუსაბამოს იგი კანონმდებლობას. აღნიშნული ორგანო მოვალეა ერთი თვის ვადაში განიხილოს დაყენებული საკითხი და აცნობოს სახელმწიფო არბიტრაჟს მიღებული ზომების შესახებ.

12. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან და უწყებებთან ერთად გამოსცემენ ერთობლივ აქტებს შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში.

13. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება აქვს მიიზიდოს საქართველოს სსრ სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან და უწყებებთან შეთანხმებით სპეციალისტები და მეცნიერი მუშაკები ნორმატიული აქტებისა და სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების მოსამზადებლად.

14. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს სათავეში უდგანან — შესაბამისად — საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი, აფხაზეთის ასსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი, აჭარის ასსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავარი სახელმწიფო არბიტრი.

საქართველოს სსრ მთავარ სახელმწიფო არბიტრს და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მთავარ სახელმწიფო არბიტრებს თანამდებობაზე ნიშნავენ — შესაბამისად — საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოები ხუთი წლის ვადით, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, რაც შემდგომ მტკიცდება შესაბამისი უმაღლესი საბჭოების სესიებზე.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავარ სახელმწიფო არბიტრს თანამდებობაზე ნიშნავს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის წარდგენით.

საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავარი სახელმწიფო არბიტრები პასუხისმგებელი არიან იმ ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც საქართველოს სსრ, აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს ეკისრებათ.

15. საქართველოს სსრ მთავარ სახელმწიფო არბიტრს ჰყავს მოადგილეები, მათ შორის პირველი მოადგილე. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავარ სახელმწიფო არბიტრებს შეუძლიათ იყოლიონ საშტატო განრიგის ფარგლებში მოადგილეები, მათ შორის პირველი მოადგილე.

საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს შესაბამისი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ ან ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო არბიტრის წარდგენით.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, მთავარი სახელმწიფო არბიტრის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის წარდგენით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟების სახელმწიფო არბიტრებს თანამდებობაზე ნიშნავს შესაბამისი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის წარდგენით.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრებს თანამდებობაზე ნიშნავს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი ამ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი სახელმწიფო არბიტრის წარდგენით, რასაც შემდგომ ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა საბჭო.

მთავარი სახელმწიფო არბიტრის მოადგილეთა, აგრეთვე სახელმწიფო არბიტრთა შორის მოვალეობებს ანაწილებს შესაბამისი მთავარი სახელმწიფო არბიტრი.

16. მთავარი სახელმწიფო არბიტრი ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არბიტრაჟის შესაბამისი ორგანოების საქმიანობას, გამოსცემს კანონმდებლობის საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და დადგენილებებს, დაამტკიცებს სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოს აპარატის სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა დებულებებს, დადგენილი წესით თანიშნავს თანამდებობაზე და გაათავისუფლებს თანამდებობიდან ზემოაღნიშნული აპარატის მუშაკებს, განსაზღვრავს სტრუქტურული ქვედანაყოფე-

ბის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას, სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოს საქმიანობის ცალკეული უბნებისათვის, ხელმძღვანელობას გაუწევს მუშაობას სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებში კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის, გამოიყენებს დადგენილი წესით წახალისებისა და სასჯელის ზომებს ამ ორგანოების მუშაკთა მიმართ.

17. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი რწმუნებათა პერიოდში ერთხელ მაინც წარუდგენს ანგარიშს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს, სისტემატურად მოახსენებს ამ საქმიანობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და საქართველოს სსრ მთავრობის კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხებზე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

18. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟში იქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი (კოლეგიის თავმჯდომარე), მთავარი სახელმწიფო არბიტრის პირველი მოადგილე და მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სახელმწიფო არბიტრაჟის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის წარდგენით.

„სსრ კავშირში სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის თანახმად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის წარდგენით შეუძლიათ შექმნან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის სახელმწიფო არბიტრაჟებში კოლეგიები და დაამტკიცონ ამ კოლეგიათა პერსონალური შემადგენლობა.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება მთავარი სახელმწიფო არბიტრის ბრძანებით. მთავარ სახელმწიფო არბიტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მთავარი სახელმწიფო არბიტრი განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს შესაბამისი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს. კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ თავიანთი აზრი აცნობონ ამ ორგანოებს.

19. საქართველოს სსრ (აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ) სახელმწიფო არბიტრაჟი მოიწვევს დადგენილი წესით საქართველოს სსრ (აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ) სახელმწიფო არბიტრაჟებისა და სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების არბიტრაჟების, აგრეთვე სამეურნეო დავის გადამწყვეტი სხვა ორგანოების მუშაკთა თათბირებს. ამ თათბირებზე მოისმენენ და განიხილავენ მოხსენებებს და დასახავენ ღონისძიებებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, განიხილავენ სამეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეო დავის გადაწყვეტისას მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების საკითხებს და არბიტრაჟების საქმიანობის სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებზე.

20. არბიტრაჟის ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის საკითხებზე მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების მოსამზადებლად, სამეურნეო საქმიანობაში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მიერ გამოვლენილ კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევათა და ნაკლოვანებათა თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებათა შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟთან შეიქმნება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევლენ თვალსაჩინო მეცნიერები და სხვა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, მათ შორის საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების წარმომადგენლები.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობასა და მის დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოები შეიძლება შეიქმნას აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არბიტრაჟებთან. ამ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების შემადგენლობასა და დებულებებს დაამტკიცებენ შესაბამისი მთავარი სახელმწიფო არბიტრები.

21. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო საშტატო განრიგს — საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არბიტრაჟების სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას დაამტკიცებენ — შესაბამისად — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟთან შეთანხმებით. სახელმწიფო არბიტრაჟის ამ ორგანოების საშტატო განრიგი მტკიცდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

22. საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავარი სახელმწიფო არბიტრებისა და მათი მოადგილეების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფა და სამედიცინო მომსახურება ხორციელდება — შესაბამისად — საქართველოს სსრ (აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ) მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის დამოუკიდებელ სამმართველოთა ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეების დონეზე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟისა და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟების სახელმწიფო არბიტრთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს სსრ (აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ) მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის

სამეურნეო სამმართველო, ხოლო სამედიცინო მომსახურებას — საქართველოს სსრ (აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ) ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული მეოთხე მთავარი სამმართველო. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არბიტრთა ზემოაღნიშნულ უზრუნველყოფასა და მომსახურებას ახორციელებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი.

23. საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არბიტრაჟებს აქვთ ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მათი სრული დასახელება.

## 127 საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოებისათვის ილია ჭავჭავაძის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების გამგეობის შუამდგომლობა და მიეკუთვნოს აღნიშნულ საზოგადოებას დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 10 ნოემბერი, 1988 წ. № 530

## 128 წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის აკადემიკოს ტ. ყ. კვარაცხელიას სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს წალენჯიხის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და მიეკუთვნოს აღნიშნული რაიონის სოფელ ნაკიფუს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას აკადემიკოს ტარას ყარამანის ძე კვარაცხელიას სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 10 ნოემბერი, 1988 წ. № 531

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 129 წყალსაცავთა სანაპირო წყალდაცვითი ზონის დებულების დამტკიცების შესახებ

წყალსაცავთა ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მათი კეთილმოწყობის და გაჭუჭყიანებისაგან დაცვის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის, რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალექსპლუატაციის“, საწარმოო გაერთიანება „საქენერგოს“, „საქშავზღვათევზმშენის“ სამმართველოს, ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტის“, ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, წყალმომარაგების, კანალიზაციის, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და საინჟინრო ჰიდროგეოლოგიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ფილიალის მიერ შემუშავებული დებულება წყალსაცავთა სანაპირო წყალდაცვითი ზონის შესახებ.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, სახელმწიფო და კოოპერაციულმა საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა მიიღონ განუხრელ შესასრულებლად ეს დებულება, უზრუნველყონ მისი მოთხოვნების მკაცრად დაცვა.

3. კონტროლი წყალსაცავთა სანაპირო წყალდაცვითი ზონის დებულების მოთხოვნების დაცვისადმი დაეკისროს საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 12 ნოემბერი, 1988 წ. № 533

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 12 ნოემბრის № 533
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## წყალსაცავთა სანაპირო წყალდაცვითი ზონის შესახებ

### კარი I. ზოგადი დებულებანი

1. 1. ეს დებულება შემუშავებულია „წყალსაცავთა ჯეროვანი ტექნიკური მდგომარეობისა და კეთილმოწყობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა ორგანიზაციისა და კოორდინაციის წესის და ამ ღონისძიებათა შესრულების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 27 თებერვლის № პპ-4041 დავალებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 3 მარტის № 72/2 შესაბამისი დავალების შესასრულებლად, აგრეთვე საქართველოს სსრ წყლის კოდექსის, საქართველოს სსრ მიწის კოდექსის, საქართველოს სსრ ტყის კოდექსის, სსრ კავშირის წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვისა და თევზჭერის რეგულირების დებულების და სხვა შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების თანახმად.

1. 2. დებულება ვრცელდება წყალსაცავთა და მათში ჩამავალი მდინარეების ქვემოწელის აკვატორიის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელზეც იზღუდება სამეურნეო საქმიანობა, ხორციელდება ორგანიზაციულ-სამეურნეო, ეროზიასაწინააღმდეგო, ჰიდროტექნიკურ, სამელიორაციო, სანიტარიულ-ჰიგიენურ, საგეგმარებელ და სხვა ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია წყალსაცავის სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წყლისა და მისი სანაპირო ზოლის ხარისხის, აგრეთვე წყალსაცავისა და გარემოს ურთიერთმოქმედების ნეგატიური შედეგების შემცირებისა და წყალსატევის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

1. 3. შემდგომში დებულების თანახმად გამოყოფილ ტერიტორიას ეწოდება წყალსაცავთა სანაპირო წყალდაცვითი ზონა.

სანაპირო წყალდაცვითი ზონის საზღვრები წესდება ამ დებულების II კარის თანახმად, ხოლო სამეურნეო საქმიანობა მის ტერიტორიაზე იზღუდება საქართველოს სსრ ერთობლივი სარგებლობის წყალსაცავთა წყლის, ჰიდრობიოლოგიური და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების წესების III, IV, V, VI, VII, VIII და IX თავების შესაბამისად.

1. 4. ყოველი კონკრეტული წყალსაცავისათვის უნდა შემუშავდეს დებულება და განისაზღვროს წყალდაცვითი ზონების საზღვრები რეგიონალური პირობების სპეციფიკის გათვალისწინებით.

1. 5. ამ დებულების მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა მიწის ნაკვეთების გამოყოფის, ობიექტების დაგეგმარების, დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის, ორგანიზაციულ-სამეურნეო, სატყეო-ტექნიკურ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატყეო-სამელიორაციო, სამელიორაციო, ჰიდროტექნიკურ და სხ[illegible]თა წარმოების, აგრეთვე სანაპირო წყალდაცვითი ზონის ფარგლებში მშრომელთა დასვენების ორგანიზაციის დროს წყალსაცავის გამოყენების სპეციფიკის გათვალისწინებით.

სანაპირო წყალდაცვითი ზონის დაწესებამდე მის ტერიტორიაზე განლაგებული სახალხო-სამეურნეო ობიექტები განაგრძობენ ფუნქციონირებას იმ პირობით, რომ დაცულ იქნეს ამ დებულების მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფენ წყალსაცავთა და სანაპირო წყალდაცვითი ზონის ჯეროვან სანიტარიულ-ტექნიკურ მდგომარეობას საჭირო წყალდაცვით და ნაპირდაცვით ღონისძიებათა შესრულების გათვალისწინებით.

1. 6. ამ დებულების მოქმედება ვრცელდება როგორც ექსპლუატაციაში არსებული, ისევე დასაპროექტებელი ობიექტებისათვის. დასაპროექტებელ ობიექტებზე წინასწარ შემუშავდება დროებითი დებულებანი წყალდაცვითი ზონების საზღვრებისა და ტერიტორიის სამეურნეო გამოყენების შესახებ.

10 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი მოცულობის წყალსაცავებზე სანაპირო წყალდაცვითი ზონის საზღვრები დაწესდება ნაპირების გადამუშავების, ეროზიული აქტიურობის, შეტბორვისა და დატბორვის ზონების პროგნოზის სავალდებულო შედგენით.

წყალსამეურნეო სისტემათა პროექტები არ უნდა დამტკიცდეს, თუ ისინი არ შეიცავენ განაყოფებს ამ დებულების შესაბამისად განსაზღვრული წყალსაცავთა, წყალდაცვითი ზონების დაწესების შესახებ, სპეციალიზებული ორგანიზაციების მიზიდვით.

1. 7. წყალდაცვითი ზონების პროექტები სანაპირო წყალდაცვითი ზონის ფართობის განსაზღვრით, მიწის გამოყენების წესისა და აუცილებელ ბუნებადაცვით და სხვა ღონისძიებათა კომპლექსის დაწესებით უთანხმდებათ ბუნების დაცვის ორგანოებს, მიწათმოწყობის, სატყეო მეურნეობის ორგანიზაციებს, სანიტარიული და ვეტერინარული ზედამხედველობის, თევზის მარაგის დაცვის ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ ორგანოებს.

1. 8. სანაპირო წყალდაცვითი ზონის საზღვრები აღინიშნება მიწათმოსარგებლეთა რუკებზე და აუცილებლად დამაგრდება ადგილმდებარეობაზე სპეციალური ნიშნებით წყალსაცავთა ექსპლუატაციის სამსახურის მიერ მიწათმოწყობის, ტყეთმოწყობის ორგანოების, სპეციალიზებული საპროექტო და კვლევითი ორგანიზაციების და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების წარმომადგენელთა მონაწილეობით ამ დებულების მოთხოვნების დაცვით.

სანაპირო წყალდაცვითი ზონის განლაგებაში და მის ტერიტორიაზე სამეურნეო საქმიანობის პირობებში ყველა ცვლილება და დაზუსტება შეთანხმდება და დამტკიცდება დადგენილი წესით.

1. 9. წყალდაცვითი ზონების დაწესების სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაფინანსება ხორციელდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, ხოლო ამ ზონების ორგანიზაცია — იმ სამინისტროთა და უწყებათა სახსრებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარჯზე, რომელთაც ექვემდებარებიან წყალსამეურნეო სისტემე[illegible] სანაპირო წყალდაცვითი ზონის ფარგლებში განლაგებული ობიექტები.

1. 10. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები მოვალენი არიან გააცნონ მოსახლეობასა და ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას გამოყოფილი ტერიტორიების ფარგლებში მოქმედი გადაწყვეტილებანი სანაპირო წყალდაცვითი ზონის საზღვრების და წყლისა და ბუნების დაცვის წესების შესახებ.

სანაპირო წყალდაცვითი ზონის ტერიტორიაზე ამ დებულებით დაწესებული სამეურნეო საქმიანობის რეჟიმის დარღვევისათვის დამნაშავე პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. 11. წყალსაცავთა სანაპირო წყალდაცვითი ზონების დაწესებისადმი, გამოყოფილ ტერიტორიაზე სამეურნეო საქმიანობის დაწესებული რეჟიმისა და ბუნების დაცვის მოთხოვნების შესრულებისადმი კონტროლი ეკისრებათ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებსა და ექსპლუატაციის სამსახურებს.

1. 12. სანაპირო წყალდაცვითი ზონის საზღვრები უნდა დაზუსტდეს წყალსაცავთა ექსპლუატაციის ყოველი 5 წლის შემდეგ. ამ სამუშაოებს ასრულებს წყალსაცავთა ექსპლუატაციის სამმართველო სპეციალიზებული ორგანიზაციების მონაწილეობით და ამტკიცებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები.

1. 13. სანაპირო წყალდაცვითი ზონის საზღვრებში გამოიყოფა სანაპირო ზოლი, რომელიც წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობის მკაცრი შეზღუდვის ტერიტორიას. დანარჩენი ტერიტორია სანაპირო წყალდაცვითი ზონის საზღვრებში მიეკუთვნება ზომიერი შეზღუდვის ტერიტორიას.

### კარი II. წყალსაცავთა სანაპირო წყალდაცვითი ზონების საზღვრები

2. 1. სანაპირო წყალდაცვითი ზონის შინა საზღვარი წყალსაცავის აკვატორიის მხრიდან არის წყლის კიდე წყლის სარკის ნორმალური შეტბორილი დონის ნიშნულზე.

2. 2. სანაპირო წყალდაცვითი ზონის გარე საზღვარი ხმელეთის მხრიდან სხვადასხვა სარგებლობის სავარგულებზე (მელიორირებული მასივები, ნაკრძალები, სარეკრეაციო ზონები და ა. შ.) განისაზღვრება წყლის კიდიდან ყველაზე დაშორებული მის ფარგლებში გამოყოფილი ერთ-ერთი ამ სამი სარტყლის საზღვრის მიხედვით: მშენებლობის შეზღუდვა (პირველი სარტყელი), შეტბორვა (მეორე სარტყელი) და შეზღუდული გამოყენება (მესამე სარტყელი).

2. 3. პირველი სარტყლის ფარგლებში გამოიყოფა სანაპირო ზოლი, რომლის შინა საზღვარს წარმოადგენს წყლის კიდე ნორმალური შეტბორილი დონის ნიშნულზე.

სანაპირო ზოლში შედის: პლაჟები, სანაპირო საფეხურები, ნაპირთა გადამუშავების ტერიტორია, რომელიც პროგნოზით განისაზღვრება 10 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადით, დატბორვის ზონა იმ პირობით, რომ გრუნტის წყლების სარკე განლა-გებული იყოს მიწის ზედაპირიდან 1 მეტრ ნიშნულზე, ეროზიასაწინააღმდეგო ზონა, დატბორვის ზონა წყალსატევში წყლის ფორსირებული დონის არსე-ბობისას.

დასახლებული პუნქტების მახლობელ ტერიტორიაზე განლაგებულ წყალ-საცავებში სანაპირო წყალდაცვითი ზონის გარე საზღვარი ემთხვევა სანაპირო ზოლის გარე საზღვარს.

2. 4. ზონის სიგანე მნიშვნელოვნად იცვლება რელიეფისა და სხვა ადგი-ლობრივი პირობების შესაბამისად და უნდა განისაზღვროს ყოველ ცალკეულ ობიექტზე წყალსაცავის ნაპირების ნატურალური გამოკვლევის საფუძველზე ფიზიკურ-გეოგრაფიული, გეოგრაფიული, ნიადაგობრივი და ჰიდროგეოლოგი-ური პირობების შესწავლით და შედგენილ იქნეს არანაკლებ 10 წლის ვადით ნაპირების გადამუშავების პროგნოზი.

2. 5. წყლის ხარისხის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება აქტიური ეროზიის ზოლების სიგანე, რომელიც შეიცავს წყალსაცავში ჩამავალ ხევ-ღელეებს, ჩანადენის ღარტაფებს, ეროზიულ ფართობებს, სანაპირო ფერდო-ბებს, ეროზიის პროდუქტების წყალსაცავში ჩატანის მოცულობის განსასაზ-ღვრავად მიწის საზღვრები შემოიფარგლება.

2. 6. სამეურნეო საქმიანობის რეჟიმის შეზღუდვა ხორციელდება წყალ-საცავის გაჭუჭყიანების, დანაგვიანებისა და დაშრობის თავიდან აცილების და სანაპირო მიწების რაციონალური გამოყენების მიზნით.

2. 7. სანაპირო წყალდაცვითი ზონის მინიმალური სიგანე არანაკლებ 500 მეტრი უნდა იყოს.

2. 8. სანაპირო წყალდაცვითი ზონის ფარგლებში ახალი მშენებლობა იზღუდება ნაპირების გადამუშავების პროგნოზით განსაზღვრულ მანძილზე არანაკლებ 50 წლის ვადით და იკრძალება:

— განლაგება:

საწარმოებისა, რომლებიც გავლენას ახდენენ წყალსაცავის და მისი მიმ-დებარე მიწების სანიტარიულ-ტექნიკურ მდგომარეობაზე;

მეცხოველეობის ფერმებისა და მეფრინველეობის ფაბრიკებისა;

საწვავ-საზეთი მასალების, სასუქების, ქიმიკატების შესანახი და სხვა სა-წყობებისა;

ნავავსაყრელებისა და წარმოების ნარჩენების ჩასამარხი ადგილებისა;

— შხამქიმიკატების გამოყენება სასოფლო-სამეურნეო და ტყის სავარ-გულების დამუშავებისას, ქიმიური სასუქების, ქლორორგანული და ბიოლო-გიური პრეპარატების გამოყენება;

— ტყისა და ბუჩქნარის გაკაფვა და ამოძირკვა, კორდის სტრუქტურის დარღვევა;

— აფეთქება, კარიერების მოწყობა, მიწის ხვნა და გრუნტისა და მცე-ნარეული საფარის დარღვევა;

ეროვნული

— ზედაპირული წყლების გაჭუჭყიანებისაგან დაცვის წესების შესაბამისად გაუწმენდელი ჩამდინარი წყლების ჩაშვება როგორც წყალსაცავში, ისევე მასში ჩამავალ წყალჩასადინარებში, ღელეებში, ხრამებსა და არხებში;

— სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისათვის გამოყენებულ ფართობებზე სანაპირო ზოლის მინიმალური სიგანე შეიძლება მიღებულ იქნეს ამ ცხრილის მიხედვით:

| მიმდებარე ფერდობებზე სავარგულების სახეობა | სანაპირო ზოლის სიგანე მეტრობით, როცა ფერდობის დახრილობაა: | |
|---|---|---|
| | 3°-მდე | 3°-ზე მეტი |
| სათიბ-საძოვარი | 35 | 35-50 |
| სახნავი, ტყე, ბუჩქნარი | 55 | 55-100 |

2. 9. ნებადართულია სანაპირო წყალდაცვითი ზონის ფარგლებში ნავმისადგომი ნაპირდაცვითი, წყალდაცვითი ნაგებობების, ჰიდრომეტეოროლოგიური და ჰიდროქიმიური პუნქტების, წყლის ხარისხისა და წყალსაცავის და მიმდებარე ტერიტორიების განვითარებისადმი მეთვალყურეობის რეჟიმის შესასრულებლად საბაზო ლაბორატორიების, ჰიდროსამელიორაციო ობიექტების განლაგება და მშენებლობა.

ამასთან თითოეული ობიექტის მშენებლობა შეუთანხმდება საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ საზმშენს და წყალსაცავთა ექსპლუატაციის სამსახურს.

ნაკვეთის გამოყოფას გააფორმებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ან ადმინისტრაციული ქვედანაყოფების მინისტრთა საბჭოები.

2. 10. სანაპირო წყალდაცვითი ზონისა და სანაპირო ზოლის ფარგლებში ტერიტორიის გამოყენება ტურიზმისათვის, დასასვენებლად, საბანაოდ და სხვა მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილი უბნების ფარგლებში წყალსაცავებიდან წყლის გამოყენების ხასიათის გათვალისწინებით.

2. 11. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო მოვალეა რეგულარულად განახორციელოს ღონისძიებანი, რომელთაც ითვალისწინებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 23 მარტის № 343 განკარგულება წყალსაცავებზე კოღოსა და სხვა მავნე მწერების მოსპობის კომპლექსურ ღონისძიებათა შესრულების შესახებ.

2. 12. წყალსაცავებზე, რომლებიც გამოყენებული არაა წყალმომარაგებისათვის, ნებადართულია თევზის სარეწაო და ორგანიზებული სამოყვარულო ჭერა იმ პირობით, რომ შესრულდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 სექტემბრის № 1045 დადგენილებით დამტკიცებული თევზის მარაგის დაცვისა და თევზჭერის რეგულირების დებულების მოთხოვნები.

2. 13. წყალდაცვითი ზონების ორგანიზაცია არ გამორიცხავს წყალსაცავთა სანიტარიული დაცვის ზონებისა და შემოგარენის ან სამეურნეო-სასმელი წყალმომარაგებისათვის გამოყენებული უბნების დაწესების საჭიროებას, რომელთა საზღვრებში დაცული უნდა იქნეს მოთხოვნები 2.04. 02-84 სამშენებლო ნორმებისა და წესებისა „წყალმომარაგება. გარე ქსელები და ნაგებობანი“.

**შენიშვნა:** ეს დებულება ვრცელდება წყალსაცავებად გამოყენებულ ტბებსა და წყალსატევებზე.

ეროვნული

## 130 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 21 დეკემბრის № 821 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის მიღების და სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე საწარმოთა და ორგანიზაციათა გადაყვანის, მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების, მათი ყოველგვარი შემოწმებების რაოდენობის შეზღუდვის, აგრეთვე მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროში საყოველთაო მუშათა კონტროლის შემოღების გამო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 21 დეკემბრის № 821 დადგენილება „საქართველოს სსრ ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა შემოწმების აქტის ერთიანი ნიმუშის შემოღების შესახებ“, რომელიც არ შეესაბამება კონტროლის განხორციელების თანამედროვე კონცეფციას.

2. ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს საწარმოებში კონტროლის უფლებებით აღჭურვილმა სამინისტროებმა და უწყებებმა მათი საქმიანობის სპეციფიკისა და სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით შეიმუშაონ ღონისძიებანი ზემოაღნიშნულ საწარმოებში ჯეროვანი სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად და ნეგატიური მოვლენების პროფილაქტიკისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

თბილისი, 17 ნოემბერი, 1988 წ. № 535

## 131 საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სამინისტროებში, უწყებებში, წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ქართულ ენაზე საქმისწარმოების საყოველთაოდ დანერგვისა და კავშირგაბმულობის სატელეგრაფო ქსელის აპარატების ქართული შრიფტით აღჭურვის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა სამინისტროებმა, უწყებებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი ქართულ ენაზე საქმისწარმოებისათვის. ამჟამად არსებული ტექნიკური ბაზის საშუალებით ქართული შრიფტით აღიჭურვა მრეწველობის მიერ გამოშვებული 9990 საბეჭდი მანქანა. სამინისტროებთან, უწყებებთან და საწარმოებთან არსებული კურსები და წრეები ყოველწლიურად ამზადებენ 1000-მდე ქართულ ენაზე მბეჭდავებსა და სტენოგრაფისტებს.

ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ რესპუბლიკის მეტ წილ სამინისტროებში, უწყებებსა და ორგანიზაციებში საქმისწარმოება ძირითადად ქართულ ენაზეა.

მოსამზადებელი სამუშაოებია ჩატარებული სატელეფონო ქსელის აბონენტთა ცნობარის ქართულ ენაზე გამოსაცემად.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის სატელეგრაფო კავშირში შეიქმნა საკომუტაციო ცენტრი, რაც ქართულ ენაზე დეპეშათა დამუშავების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ქსელი აღიჭურვა გამოთვლითი ტექნიკის ბაზაზე მომუშავე უახლესი აპარატურით და მთლიანი ავტომატიზაციით, რისთვისაც დაიხარჯა 24 მილიონ მანეთზე მეტი ოდენობის კაპიტალური დაბანდება.

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში საქმისწარმოება განხორციელდეს იმ ენებზე, რაც განსაზღვრულია ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით.

მიუხედავად ამისა, შესრულებული სამუშაოები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ იმ ზოგიერთი ღონისძიების სრულად განხორციელებას, რომელიც გათვალისწინებულია ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტით, ამჟამად არსებული სამამულო და იმპორტული სატელეგრაფო აპარატურა არ იძლევა ქართული შრიფტით დეპეშათა გადაცემა-მიღების საშუალებას. ქართული საქმისწარმოების საყოველთაო დანერგვას გარკვეულად აფერხებს ქართულშრიფტიანი საბეჭდი მანქანებისა და მბეჭდავ-მემანქანეების უკმარისობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ სამინისტროებს, უწყებებს, საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს გააგრძელონ მუშაობა ქართულ ენაზე საქმისწარმოების საყოველთაო დანერგვისათვის.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახმომარაგებასა (ამხ. ქვილითაია) და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს (ამხ. ჯინჯიხაძე) უზრუნველყონ

საბეჭდი მანქანების შემოტანა რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სამინისტროების, უწყებების, საწარმო-დაწესებულებების განაცხადების შესაბამისად, № 1 დანართის მიხედვით.

საქართველოს სსრ სახმომარაგებამ შეისწავლოს საბეჭდი მანქანების მწარმოებელ ქარხნებში ქართულშრიფტიანი მანქანების დამზადების შესაძლებლობა და მიაღწიოს მის მიწოდებას არსებული ფონდების ანგარიშში.

3. თბილისის გამოთვლითი ტექნიკის ტექმომსახურებისა და რემონტის ქარხანამ, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მუნჯთა საზოგადოებამ, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს გაერთიანება „თბილხელსაწყოთშეკეთებამ", აჭარის ასსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან არსებულ კოოპერატივ „იატრანის" სახელოსნოებმა უზრუნველყონ სამინისტროების, უწყებების, საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების განაცხადების დაკმაყოფილება საბეჭდი მანქანების რემონტისა და ქართული შრიფტით მათი აღჭურვის თაობაზე, № 2 დანართის მიხედვით.

4. საქართველოს პროფსაბჭომ (ამხ. გაგუა), საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ (ამხ. ენუქიძე) და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ (ამხ. ასათიანი) მიმდინარე წლიდანვე რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების განაცხადების შესაბამისად უზრუნველყონ ქართულად მბეჭდავ-მემანქანეებისა და სტენოგრაფისტების მომზადება, № 3 დანართის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათი სწავლების ხარისხის ამაღლებას.

5. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ (ამხ. კობახიძე);

ქართულშრიფტიანი სატელეგრაფო აპარატების დამზადებამდე და რესპუბლიკის სატელეგრაფო ქსელში მათ დანერგვამდე, როგორც დროებითი ღონისძიება, მიმდინარე წლის 1 დეკემბრიდან ქ. თბილისის კავშირგაბმულობის ზოგიერთ განყოფილებაში უზრუნველყოს შემოსული დეპეშების ქართულ საბეჭდ მანქანებზე გადაბეჭდვა და ადრესატებისათვის ჩაბარება;

— რესპუბლიკის სატელეგრაფო ქსელში ქართული შრიფტის დასანერგავად 1989 წლის განმავლობაში უზრუნველყოს ტელეგრაფისტების შესაბამისი გადამზადება;

— გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შესაბამის ფირმასთან ამჟამად მიმდინარე წინასწარი მოლაპარაკების შედეგების საფუძველზე წარმოადგინოს წინადადებანი დამატებითი კაპიტალური დაბანდებებისა და საჭირო ოდენობის ვალუტის გამოსაყოფად ქართულშრიფტიანი სატელეგრაფო აპარატების დასამზადებლად და მის შესასყიდად;

— გამსახკომთან ერთად 1989 წლის I კვარტალში უზრუნველყოს ქ. თბილისის სატელეფონო ქსელის აბონენტთა ცნობარის ქართულ ენაზე გამოცემა.

6. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ მიმდინარე წლის 25 დეკემბრამდე გამოუყოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს 20 ქართულშრიფტიანი საბეჭდი მანქანა აღნიშნულ დროებით ღონისძიებათა უზრუნველსაყოფად.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა (ამხ. ვარძელაშვილი), საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ (ამხ. ღვალიშვილი) რესპუბლიკაში სატელეგრაფო კავშირის ქსელში ქართული შრიფტის დანერგვამდე მბეჭდავი მემანქანეების საშტატო ერთეულების მოსალოდნელ მკვეთრ ზრდასთან დაკავშირებით გადასინჯონ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელფასის ფონდის ნორმატივი და მასთან დაკავშირებით 1989 წლის მოგების გეგმა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი გაანგარიშების საფუძველზე.

8. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სრულიად საქართველოს შოთა რუსთაველის საზოგადოების პრეზიდიუმი ხელს შეუწყობს აღნიშნული დადგენილების განხორციელებას.

9. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 21 ნოემბერი 1988 წ. № 542

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 21 ნოემბრის № 542 დადგე-
ნილების დანართი № 1

## რესპუბლიკაში საბექდი მანქანების შემოზიდვის და მისი რეალიზაციის გეგმა-დავალება

| სამინისტროთა დასახელება | გეგმა-დავალება (ცალი) | | |
|---|---|---|---|
| | სულ | 1989 წ. | 1990 წ. |
| სახმომარაგების სახელმწიფო კომიტეტი | 2400 | 1200 | 1200 |
| საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო | 4100 | 2000 | 2100 |
| სულ | 6500 | 3200 | 3300 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. რიგვავა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 21 ნოემბრის № 542 დადგე-
ნილების დანართი № 2

## საბეჭდი მანქანების შეკეთებისა და მათი ქართული შრიფტით აღჭურვის გეგმა-დავალება

| სამინისტროთა, უწყებათა და ორგანიზაციის დასახელება | გეგმა-დავალება (ცალი) | | | |
|---|---|---|---|---|
| | სულ | 1988 | 1989 | 1990 |
| თბილისის გამოთვლითი ტექნიკის ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთების ქარხანა | 5500 | 200 | 2000 | 3300 |
| საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო | 2500 | 100 | 1000 | 1400 |
| საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო | 1300 | 50 | 600 | 650 |
| აჭარის ასსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო | 700 | 50 | 300 | 350 |
| საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოოპერატივი „იატრანი“ | 1300 | 50 | 600 | 650 |
| სულ | 14500 | 640 | 5920 | 7940 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ხ. რიგვავა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 21 ნოემბრის № 542 დადგე-
ნილების დანართი № 3

## ქართულად მბეჭდავ-მემანქანეებისა და სტენოგრაფისტების მომზადების გეგმა-დავალება

| სამინისტროთა და უწყებათა დასახელება | გეგმა-დავალება | | |
|---|---|---|---|
| | სულ | 1989 წ. | 1990 წ. |
| პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო | 400 | 160 | 240 |
| საქართველოს სსრ სახალხო განათლე-ბის სამინისტრო | 1900 | 700 | 1200 |
| საქართველოს სსრ კულტურის სამი-ნისტრო | 1200 | 500 | 700 |
| სულ | 3500 | 1360 | 2140 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ხ. რიგვავა**

მუხ. 132
ეროვნული ბიბლიოთეკა

## 132 „საქართველოს სს რესპუბლიკაში მსუბუქი ავტომობილების ვაჭრობის მოწესრიგების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 3 სექტემბრის № 631 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„მსუბუქი ავტომობილების ვაჭრობის მოწესრიგების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 2 ივლისის № 626 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 29 ოქტომბრის № 1279 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ჩამოყალიბდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 3 სექტემბრის № 631 დადგენილების მე-7 პუნქტის მე-14 და მე-15 აბზაცები შემდეგი რედაქციით:

„გ) მოქალაქეთა კუთვნილი მსუბუქი ავტომობილების ნაჩუქრობის ხელშეკრულებებს და მათი სარგებლობისა და განკარგვის უფლების დამადასტურებელ მინდობილობებს დაამოწმებენ სახელმწიფო სანოტარო კანტორები სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ორგანოებში ავტომობილების რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ასეთი გარიგებანი შეიძლება დამოწმდეს ავტომობილის რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-12 და მე-13 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 22 ნოემბერი 1988 წ. № 547

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 133 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების („სპეცტრანსი") შექმნის შესახებ

„საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მართვის გენერალური სქემის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 27 მაისის № 684 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება („სპეცტრანსი") საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების გაუქმებული სახელმწიფო კომიტეტის ბაზაზე.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების დებულება, ამ გაერთიანების სისტემის მართვის გენერალური სქემა და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების პროექტი ამ საკითხზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1 დეკემბერი, 1988 წ. № 559

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 134 ჩოხატაურის რაიონის კულტურის სახლისათვის ნ. ვ. დუმბაძის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს ჩოხატაურის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის წინადადება და გამოჩენილი ქართველი მწერლის, ლენინური პრემიის ლაურეატის ნოდარ ვლადიმერის ძე დუმბაძის სახელი მიეკუთვნოს ჩოხატაურის სარაიონო კულტურის სახლს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ხ. რიგვავა**

ქ. თბილისი, 15 დეკემბერი, 1988 წ. № 591

## 135 საჩხერის სამუსიკო სკოლისათვის დ. ა. თორაძის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საჩხერის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და მიეკუთვნოს საჩხერის სამუსიკო სკოლას ცნობილი ქართველი კომპოზიტორის დავით ალექსანდრეს ძე თორაძის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ხ. რიგვავა**

ქ. თბილისი, 15 დეკემბერი, 1988 წ. № 592

ეროვნული

## 136 საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საწვავ-საზეთი მასალების რეალიზაციისათვის ანგარიშსწორების ახალი წესის შემოღებას და ერთიანი სახელმწიფო ტალონების ხმარებიდან ამოღებას

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საწვავ-საზეთი მასალებისათვის ანგარიშსწორების პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ მასალების დაზოგვით მომხმარებელთა ეკონომიკური დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებათა აპრობაციის მიზნით სსრ კავშირის მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიამ მოიწონა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება (კომისიის 1988 წლის 9 აგვისტოს სხდომის № 127 ოქმი) იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელდეს ექსპერიმენტი, რომელიც ითვალისწინებს საწვავ-საზეთი მასალების რეალიზაციისათვის ანგარიშსწორების ახალი წესის შემოღებას და ერთიანი სახელმწიფო ტალონების ხმარებიდან ამოღებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. განხორციელდეს 1989 წლის 1 მარტიდან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ეკონომიკური ექსპერიმენტი, რომელიც ითვალისწინებს:

— საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო ავტოტრანსპორტის მქონე სამინისტროებისა და უწყებებისათვის საწვავ-საზეთი მასალების რეალიზაციას სახელმწიფო საცალო ფასებში;

— სახელმწიფო ტალონების ხმარებიდან ამოღებას (გარდა სატრანსპორტო საშუალებებისა, რომლებიც გადიან, შემოდიან და მიდიან ტრანზიტით) და მათ ნაცვლად მძღოლთათვის ნაღდი ფულის მიცემას საწვავ-საზეთი მასალების შესაძენად.

საუწყებო ავტოგასამართი სადგურების მეშვეობით მძღოლთათვის საწვავ-საზეთი მასალების მიცემის წესი უცვლელი დარჩეს.

იმ მიზნით, რომ ამაღლდეს მძღოლთა პასუხისმგებლობა საწვავ-საზეთი მასალების გადახარჯვისათვის და გაძლიერდეს მათი მატერიალური დაინტერესება ამ მასალების ეკონომიით, დარჩეთ მძღოლებს, როგორც მატერიალური ჯილდო, ტრანსპორტის ეფექტიანი გამოყენების გზით დაზოგილი სათბობის ღირებულება.

სატრანსპორტო სამუშაოთა თვითღირებულების გაძვირების, საცალო ფასებში საწვავ-საზეთი მასალებისათვის ანგარიშსწორებაზე გადასვლასთან დაკავშირებული დამატებითი დანახარჯების გამო საბიუჯეტო ორგანიზაციათა ხარჯების გადიდების, აგრეთვე სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში წარმოებისა და მომსახურების რენტაბელობის შემცირების თავიდან ასაცილებლად შემოღებულ იქნეს საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოებსა და საწვავ-საზეთი მაალების მომხმარებლებს შორის შემოსავლის გადანაწილების წესი ფასთა სხვაობის ანაზღაურების მექანიზმის ანალოგიურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწვავ-საზეთი მასალების გამოყენებაში საფონდო დისციპლინის დაცვის მიზნით ასევე უცვლელი დარჩეს საწვავ-საზეთი მასალების მოხმარების არსებული წესი საწარმოებისათვის, რომლებსაც აქვთ საუწყებო ავტოგასაწყობი სადგური, ხოლო დანარჩენი მომხმარებლებისათვის შემოღებულ იქნეს საწვავ-საზეთი მასალების შესაძენად გათვალისწინებული სახსრების ლიმიტირება.

სახელმწიფო და პირად (კოოპერაციულ) სექტორებში სათბობის მოხმარების რეგულირებისათვის შენარჩუნებულ იქნეს საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის ავტოგასაწყობი სადგურების სპეციალიზაცია.

2. ავტოსატრანსპორტო სამუშაოთა მოცულობის წამატებებთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრომ, საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშაონ და შემოიღონ დადგენილი წესით სატრანსპორტო მომსახურების ტარიფების ახალი პროგრესული სტრუქტურა და მძღოლთა შრომის ანაზღაურების ფორმა, ამასთან ძირითადად შეინარჩუნონ ამ ტარიფების და ტვირთის გადაზიდვით დასაქმებულ საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკთა შრომის ანაზღაურების ამჟამად არსებული დონე.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრომ შეიმუშაონ და დაამტკიცონ დადგენილი წესით დროებითი დებულება საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის დაგეგმვის შესახებ.

4. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრომ და საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა შეიმუშაონ და დაამტკიცონ დადგენილი წესით საწვავ-საზეთი მასალების აღრიცხვისა და სახელმწიფო ავტოტრანსპორტის მძღოლთათვის მიცემის ინსტრუქციები.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშაონ და საკავშირო ორგანოებთან შეთანხმებით დაამტკიცონ დებულება სახელმწიფო ავტოტრანსპორტისათვის საწვავ-საზეთი მასალების ფონდირებისა და გაცემის (რეალიზაციის) შესახებ.

6. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა ბანკმა და საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშაონ და დაამტკიცონ დადგენილი წესით დებულება სახელმწიფო ავტოტრანსპორტისათვის სარეალიზაციო საწვავ-საზეთი მასალების ფასთა სხვაობის გათვალისწინებით შემოსავლისა და ანგარიშსწორების გადანაწილების შესახებ.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტმა დააზუსტონ მოთხოვნილება ნაღდ ფულზე, რომე-

ლიც მიეცემათ მძღოლებს წინანდელი ტალონების ნაცვლად, აგრეთვე საწვავ-საზეთი მასალების რეალიზაციით ნაღდი ფულის შემოსვლის მოცულობა.

7. სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა ბანკმა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის მიერ შეტყობინებული მონაცემების საფუძველზე ყოველკვარტალურად გაითვალისწინოს რესპუბლიკის საკასო გეგმის პროექტებში საწვავ-საზეთი მასალების რეალიზაციით სალაროში დამატებითი თანხების შემოსვლის მოცულობა, აგრეთვე მოთხოვნილება ფულად სახსრებზე, რომელთაც იღებენ საწვავ-საზეთი მასალების მომხმარებლები წინანდელი ტალონების ნაცვლად.

სსრ კავშირის სახბანკთან შეთანხმებით მოამზადოს მითითება საწვავ-საზეთი მასალების მომხმარებელთათვის ნაღდი ფულის მიცემის წესის და მისი მიზნობრივი გამოყენებისადმი შემდგომი კონტროლის განხორციელების შესახებ.

8. საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროსთან ერთად საჭიროების კვალობაზე შეიმუშაონ და შემოიღონ დადგენილი წესით ამ ექსპერიმენტის განხორციელებასთან დაკავშირებული საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების მაჩვენებლები და ფორმები.

9. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოებსა და ორგანიზაციებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა საფონდო დისციპლინის მკაცრი დაცვისა და საწვავ-საზეთი მასალების ნორმირებისათვის, ფულადი სახსრების სწორი ხარჯვისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ტრანსპორტის მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური წახალისების სისტემის სრულყოფას, საწვავის აღრიცხვის თანამედროვე ტექნიკის დანერგვას და მისი ხარჯვისადმი კონტროლს.

10. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაონ სპიდომეტრების შემოწმების წესი და გაუმართავი სპიდომეტრებით ტრანსპორტის ექსპლოატაციისას ზემოქმედების ღონისძიებანი და დაამტკიცონ ისინი დადგენილი წესით ერთი თვის ვადაში.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრომ, საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, სსრ კავშირის სახბანკისა და სპეციალიზებული ბანკების საქართველოს რესპუბლიკურმა ბანკებ-

მა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა დაამთავრონ ამ დადგენილების მე-3-10 პუნქტებში ჩამოთვლილი ყველა მეთოდიკური და ინსტრუქციო მასალის შემუშავება და დამტკიცება და დაუგზავნონ ისინი შემსრულებლებს 1989 წლის 15 თებერვლამდე.

12. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გასწიონ ავტოტრანსპორტის მუშაკთა შორის ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, დასახონ და განახორციელონ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი ზემოაღნიშნული ექსპერიმენტის წარმატებით ჩასატარებლად, განაზოგადონ მისი შედეგები და 1989 წლის პირველ ნახევრისა და მთლიანად წლის მაჩვენებლების მიხედვით წარუდგინონ შესაბამისი მასალები 1989 წლის ივლისსა და 1990 წლის თებერვალში საქართველოს სსრ მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიას.

ზემოაღნიშნულმა კომისიამ სამინისტროებისა და უწყებებისაგან მასალების მიღების შემდეგ ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ინფორმაცია ექსპერიმენტის მიმდინარეობის შესახებ და წინადადებანი მისი მექანიზმის სრულყოფისათვის.

13. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიამ დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ბანკების გამგეობებს გაუწიონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეთოდიკური დახმარება ექსპერიმენტის განხორციელებაში.

14. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებმა და მასობრივი ინფორმაციის ორგანოებმა უზრუნველყონ ამ ექსპერიმენტის მიმდინარეობის ფართოდ გაშუქება.

15. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა გაუწიონ ყოველმხრივი დახმარება და ხელშეწყობა ექსპერიმენტის განმხორციელებელ ორგანიზაციებს, სისტემატურად შეისწავლონ და გააანალიზონ ადგილებზე არსებული მდგომარეობა და წარმოქმნილი სიძნელეებისა და წინადადებათა შესახებ დროულად მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 16 დეკემბერი, 1988 წ. № 594

## 137 ილია (ილიკო) ილიას ძე სუხიშვილის სახელობის პრემიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს მუსიკალური საზოგადოების წინადადება და დაწესდეს გამოჩენილი ქართველი ქორეოგრაფის ილია (ილიკო) ილიას ძე სუხიშვილის სახელობის ერთი რესპუბლიკური პრემია 1000 მანეთის ოდენობით.

2. ილია (ილიკო) ილიას ძე სუხიშვილის სახელობის ერთი პრემია მიენიჭოს სამ წელიწადში ერთხელ ქართული ხალხური ცეკვის საუკეთესოდ შესრულებისათვის, საუკეთესო ქორეოგრაფიული დადგმისა და საუკეთესო თეორიული ნაშრომისათვის ქართული ხალხური ქორეოგრაფიის დარგში.

3. ნება დაერთოს საქართველოს მუსიკალურ საზოგადოებას ილია (ილიკო) ილიას ძე სუხიშვილის სახელობის პრემიის თანხა გასცეს აღნიშნული საზოგადოების სახსრებიდან სამ წელიწადში ერთხელ.

4. დამტკიცდეს დებულება ილია (ილიკო) ილიას ძე სუხიშვილის სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ.

5. დამტკიცდეს ილია (ილიკო) ილიას ძე სუხიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის სამკერდე ნიშნის აღწერილობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 27 დეკემბერი, 1988 წ. № 652

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 27 დეკემბრის № 652 დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## ილია (ილიკო) ილიას ძე სუხიშვილის სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ

1. ილია (ილიკო) ილიას ძე სუხიშვილის სახელობის პრემიას ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ანიჭებს საქართველოს მუსიკალური საზოგადოების გამგეობა საუკეთესო ქორეოგრაფიულ დადგმას, საუკეთესო თეორიულ ნაშრომს ქართული ხალხური ქორეოგრაფიის დარგში, ქორეოგრაფიულ ანსამბლს და მოცეკვავეს ქართული ხალხური ცეკვის საუკეთესოდ შესრულებისათვის.

დაწესებულია ერთი ფულადი პრემია 1000 მანეთის ოდენობით.

2. პრემიის მისანიჭებლად კანდიდატებსა და ნაშრომებს ადგენენ: საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, გამომცემლობა „ხელოვნება", ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება", საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილება და საქართველოს მუსიკალური საზოგადოების რესპუბლიკური საოლქო, საქალაქო და რაიონული გამგეობანი.

3. პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილ უნდა იქნეს წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში დადგმული ცეკვები და გამოქვეყნებული ნაშრომები. შემოქმედებით კოლექტივებს და შემსრულებლებს პრემიაზე წარსადგენად არჩევენ ასევე წინა სამი კალენდარული წლის საშემსრულებლო (საკონცერტო) მოღვაწეობის საფუძველზე.

4. პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილ უნდა იქნეს: ნაშრომი ქორეოგრაფიის დარგში, ცეკვების ნახაზები სამ ეგზემპლარად, საშემსრულებლო-სადადგმო მოღვაწეობის ამსახველი აფიშები და პროგრამები, რომელთაც უნდა დაერთოს წარდგინება, რეცენზია და შეფასება-დასკვნა.

5. საპრემიოდ მიიღება ისეთი ნაშრომები და ქორეოგრაფ-შემსრულებელთა მასალა, რომელთაც ადრე სხვა სახელობითი პრემია არ მინიჭებიათ.

6. ერთსა და იმავე პირს ან კოლექტივს პრემია განმეორებით არ მიენიჭება.

7. ილია (ილიკო) ილიას ძე სუხიშვილის სახელობის პრემიაზე წარდგენილი ნაშრომების, საშემსრულებლო-სადადგმო მოღვაწეობის განსახილველად და შესაფასებლად იქმნება მუდმივი კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მუსიკალური საზოგადოების გამგეობა.

8. საპრემიო მასალა წარწერით — „ილია (ილიკო) სუხიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად" — უნდა წარედგინოს საქართველოს მუსიკალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი საზოგადოების გამგეობასთან არსებულ ილია (ილიკო) სუხიშვილის სახე-ლობის პრემიების კომიტეტს პრემიის მინიჭებამდე ოთხი თვით ადრე.

9. კომიტეტი ვალდებულია განიხილოს ეს მასალა და წარუდგინოს პრემიის კანდიდატი საზოგადოების გამგეობას არა უგვიანეს 15 თებერვლისა პრემიის მინიჭების წელს.

10. ილია (ილიკო) ილიას ძე სუხიშვილის სახელობის პრემიების კომიტე-ტის სხდომებს იწვევს კომიტეტის თავმჯდომარე. სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება წევრთა ორი მესამედი მაინც.

11. გადაწყვეტილებას პრემიაზე წარდგენილი კანდიდატების შესარჩევად კომიტეტი ღებულობს ღია კენჭისყრით.

12. პრემია ენიჭება ფარული კენჭისყრით, თუ მას მხარი დაუჭირა კენჭის-ყრაში მონაწილე წევრთა ორმა მესამედმა.

13. საქართველოს მუსიკალური საზოგადოების გამგეობის დადგენილება და რეცენზია-დასკვნა ნაშრომის, შემსრულებლის ან დამდგმელის შესახებ, რომელსაც პრემია მიენიჭა, ქვეყნდება პრესაში.

14. თუ პრემია მიენიჭა ქორეოგრაფიულ ანსამბლს, ფულადი ჯილდოს ურთიერთგანაწილების საკითხს წყვეტს თვით კოლექტივი.

15. ფულად ჯილდოსთან ერთად დაჯილდოებულს გადაეცემა სამკერდე ნიშანი და დიპლომი.

———

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 27 დეკემბრის № 652 დადგენილებით

## ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

ილია ილიას ძე სუხიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის სამკერდე ნიშნისა

ზომა: დიამეტრი — 2,5 სმ, სისქე — 1,5 მილიმეტრი;

მასალა — მოოქროვილი ბრინჯაო;

სამკერდე ნიშნის წინა მხარე: ილია სუხიშვილის ბარელიეფი პროფილში;

სამკერდე ნიშნის უკანა მხარე წარწერით:

— საქართველოს მუსიკალური საზოგადოება,

— ილია სუხიშვილის პრემიის ლაურეატი.

მედალი ჩამოკიდებული იქნება მწვანე თასმით დაფარულ ფირფიტაზე (ზომა 25 მმ × 11 მმ-ზე).

## 138 რესპუბლიკაში ზოონოზურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქსახაგრომრეწვის მიერ გაწეული გარკვეული მუშაობის მიუხედავად რესპუბლიკაში კვლავ დაძაბულია ზოონოზურ დაავადებათა მხრივ ეპიზოოტური და ეპიდემიური სიტუაცია.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში იძულებით დაიკლა ბრუცელოზით დაავადებული 4283 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მათ შორის 2891 სული ფური. ხშირია ადამიანთა დაავადება ბრუცელოზითა და ტრიქინელოზით, გახშირდა ცხოველთა და ადამიანთა ცოფით დაავადების შემთხვევები.

არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება ზოონოზურ დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებანი აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქალაქებში თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ბორჯომის, გარდაბნის, დუშეთის, თეთრი წყაროს, თიანეთის, ლანჩხუთის, წალკის, წითელწყაროსა და რესპუბლიკის სხვა რაიონებში. არ არის მიღებული გადამჭრელი ზომები ზოონოზურ დაავადებებთან ბრძოლის თაობაზე სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. არასაკმარისია ამ მხრივ საქსახაგრომრეწვის, საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მათი ადგილობრივი ორგანოების საქმიანობა.

მიწისძვრის ტრაგიკული შედეგებით გამოწვეული მდგომარეობის გამო საჭიროა გაძლიერდეს ზოონოზური დაავადებების პროფილაქტიკის ღონისძიებანი სომხეთის სს რესპუბლიკის მოსაზღვრე რაიონებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქსახაგრომრეწვმა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— ერთი თვის ვადაში შეისწავლონ როგორ ხორციელდება ზოონოზურ დაავადებათა (ბრუცელოზი, ტუბერკულოზი, ცოფი, ციმბირის წყლული, ტრიქინელოზი და სხვ.) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებათა შესაბამისად, მიიღონ რადიკალური ზომები დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არსებულ დარღვევათა და ნაკლოვანებათა უმოკლეს ვადაში აღმოსაფხვრელად;

— საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების სახალხო დეპუტატთა საბინაო-კომუნალური მეურნეობების მუშაკთა, ვეტერინარ სპეციალისტთა მონაწილეობით ზუსტად აღრიცხონ მოსახლეობის კუთვნილ ცხოველთა სულადობა პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ნორმალურად ჩატარების უზრუნველსაყოფად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა:

— მიიღოს ოპერატიული ზომები ზოონოზური დაავადებების პროფილაქტიკის ღონისძიებათა არსებითად გასაუმჯობესებლად სომხეთის სს რესპუბლიკის მოსაზღვრე რაიონებში მიწისძვრის ტრაგიკული შედეგების გამო ეპიდემიური და ეპიზოოტური სიტუაციის მოსალოდნელი გართულების გათვალისწინებით;

— საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად გააძლიეროს ზედამხედველობა ზოონოზური დაავადებების სალიკვიდაციო და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა მიმდინარეობისადმი, სრულად გამოიყენოს ვეტკანონმდებლობით მინიჭებული უფლებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

— დააწესოს ჯეროვანი კონტროლი ხორცკომბინატებში, საკოლმეურნეო ბაზრებსა და მსხვილ მეურნეობებში ღორის ხორცის ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზის ჩატარებისადმი, არ დაუშვას ღორის ხორცის რეალიზაცია ტრიქინელოსკოპიის გარეშე, უზრუნველყოს ზემოჩამოთვლილი ობიექტები საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით;

— გაითვალისწინოს, რომ 1990 წელს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ვეტერინარიის მთავარ სამმართველოს გამოეყოს 70 ცალი კარადა-მაცივარი ვეტერინარული შემოწმების გარეშე სარეალიზაციოდ გამოტანილი ხორცის მოსათავსებლად ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზის ჩატარების პერიოდში.

3. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ:

— განახორციელოს ჯეროვანი ღონისძიებანი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ჯეროვანი სანიტარიული წესრიგის დასამყარებლად, ნაგავსაყრელების სრულ წესრიგში მოსაყვანად, მისი დაქვემდებარების ობიექტებში ძაღლებისა და კატების აღრიცხვის მოსაგვარებლად;

— გამოუყოს ადგილობრივ საბინაო-კომუნალურ სამსახურებს ხელფასის ფონდი და ტექნიკური საშუალებანი მოხეტიალე ძაღლებისა და კატების დამჭერი ბრიგადების შესაქმნელად, გაითვალისწინოს ბრიგადის წევრთა მატერიალური სტიმულირება, დააწესოს კონტროლი მათი მუშაობისადმი.

4. საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის პრეზიდიუმმა:

— მიიღონ ქმედითი ზომები ცოფის მხრივ არაკეთილსაიმედო კერებში მტაცებელი ცხოველების რიცხოვნობის შესამცირებლად;

— უზრუნველყონ მოპოვებული მტაცებელი ცხოველიდან აღებული მასალის ლაბორატორიაში გადაგზავნა ცოფზე გამოსაკვლევად, ხოლო ცოფის მხრივ არაკეთილსაიმედო კერებში მოპოვებული მტაცებელი ცხოველის ადგილზე დაწვა სათანადო წესების დაცვით.

5. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საჭირო დახმარება გაუწიოს ვეტერინარულ და ჯანმრთე-

ლობის დაცვის ორგანოებს ზოონოზური დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებაში, არ დაუშვას ცოცხალი პირუტყვის, ხორცისა და ხორცპროდუქტების ვაჭრობა ამ მიზნისათვის გაუთვალისწინებელ ადგილებში.

6. საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითმა ინსტიტუტმა საქსახაგრომრეწვის ვეტერინარიის მთავარ სამმართველოსთან ხელშეკრულების საფუძველზე გააფართოოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ზოონოზური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სრულყოფის საკითხების შესასწავლად, მეთოდური და პრაქტიკული დახმარება გაუწიოს ვეტერინარ სპეციალისტებს ამ დაავადებების პროფილაქტიკისა და ლიკვიდაციის ღონისძიებათა განხორციელებაში, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებასა და დანერგვაში.

7. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა და რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებმა პერიოდულად გააშუქონ ზოონოზური დაავადებების პროფილაქტიკის საკითხები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 27 დეკემბერი, 1988 წ. № 654

**139** **„საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომების ტერიტორიულ-სამეურნეობათაშორისო გაერთიანებათა საქმიანობის გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 27 დეკემბრის № 653 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე**

„საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომების ტერიტორიულ-სამეურნეობათაშორისო გაერთიანებათა საქმიანობის გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 27 დეკემბრის № 653 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1989 წლის 1 იანვრიდან:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 8 ივნისის № 389 დადგენილება „გაგრის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გაგრის მშრომელთა საკურორტო მომსახურების ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 26 [illegible] № 570 დადგენილება „თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანებისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული (ქ. თბილისის) საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების დროებით დებულებათა დამტკიცების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 24 სექტემბრის № 618 დადგენილება „ქალაქებში მარნეულსა და ტყვარჩელში ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვისა და მართვის დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების ოპტიმალური შეხამებისათვის ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 15 იანვრის № 23 დადგენილება „ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 10 ნოემბრის № 1260 განკარგულება;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 12 ნოემბრის № 557 დადგენილება „ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 30 დეკემბერი, 1988 წ. № 666

## 140 საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ სახსრების გადარიცხვის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 4 დეკემბრის № 818 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 21 მარტის ბრძანებულებით დაწესდა, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები ადგილობრივი (მათ შორის საოლქო) საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და მოვლა-პატრონობისათვის გადარიცხავენ სახსრებს ოდენობით, რომელიც არ აღემატება ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ პროდუქციის წარმოების, შესრულებული სამუშაოების ან გაწეული მომსახურების მოცულობის 0,4 პროცენტს.

აღნიშნული ხარჯების გამოანგარიშება ხდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

„საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 9 აგვისტოს ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო **ადგენს**:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1989 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 4 დეკემბრის № 818 დადგენილება „საავტომობილო გზების მშენებლობაში, რეკონსტრუქციაში, რემონტსა და მოვლა-პატრონობაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 25 დეკემბრის ბრძანებულებით გათვალისწინებული ცვლილებებითა და დამატებებით) გამოყენების წესის თაობაზე ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

თბილისი, 30 დეკემბერი, 1988 წ. № 667

ეროვნული

## 141 კომპოზიციური სისტემებისა და მასალების დამუშავებისა და წარმოების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების (გაერთიანება „კომპოზიციური სისტემები“) შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ლიკვიდაციის გამო შეიქმნას კომპოზიციური სისტემებისა და დაფარვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და მის გამგებლობაში არსებული საცდელი ქარხნის ბაზაზე კომპოზიციური სისტემებისა და მასალების დამუშავებისა და წარმოების რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება (გაერთიანება „კომპოზიციური სისტემები“) სამეურნეო ანგარიშზე.

დაწესდეს, რომ „სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 30 დეკემბრის № 1062 დადგენილების შესაბამისად კომპოზიციური სისტემებისა და დაფარვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ამავე დროს არის ახალშექმნილი გაერთიანების მთავარი სტრუქტურული ერთეული.

2. დაევალოს ახალშექმნილ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას „კომპოზიციურ სისტემებს“ ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად გაერთიანების დებულება „სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 30 დეკემბრის № 1062 დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 30 დეკემბერი, 1988 წ. № 675

## 142 საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ადაპტაგენის" სახელის გადარქმევის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ლიკვიდაციის გამო დაერქვას საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას „ადაპტაგენს" სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ადაპტაგენი".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 30 დეკემბერი, 1988 წ. № 665

## 143 სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსების თანდართული წესი, რომელიც შემუშავებულია „სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1987 წლის 30 დეკემბრის № 490/171/246 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 8 დეკემბერი, 1988 წ. № 572

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 8 დეკემბრის № 572
დადგენილებით

## სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსების

## წესი

### ზოგადი დებულებანი

1. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსების წესი შემუშავებულია „სამეცნიერო ორგანიზაციების სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 30 სექტემბრის № 1102 დადგენილების და „სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1987 წლის 30 დეკემბრის № 490/171/246 დადგენილების შესაბამისად.

2. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსების წესი ითვალისწინებს რესპუბლიკურ და დარგობრივ დონეზე სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა მიზნობრივ დაფინანსებას, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა განაწილებას მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურებისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მიმართულებათა მიხედვით პირველ რიგში პრიორიტეტულ მიმართულებათა უზრუნველყოფით, აგრეთვე კონკრეტული მეცნიერული გამოკვლევებისა და სამუშაოებისათვის ბიუჯეტიდან გამოსაყოფ ასიგნებათა ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას.

3. სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსების წესის მოქმედება სრულდება სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, რომლებსაც ასრულებენ როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, საპროექტო, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციები, ისევე გაერთიანებათა და საწარმოთა შემადგენლობაში შემავალი სამეცნიერო ორგანიზაციები მიუხედავად მათი სამეურნეო საქმიანობის პირობებისა (შემდგომში „სამეცნიერო ორგანიზაციებად" წოდებულნი), აგრეთვე დროებითი სამეცნიერო (სამეცნიერო-ტექნიკური) კოლექტივები.

### სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსება რესპუბლიკურ დონეზე

4. საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები სსრ კავშირის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 20-წლიანი კომპლექსური პროგრამის, სსრ

კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 15-წლიანი კონცეფციისა და ძირითადი მიმართულებების საფუძველზე დაწესებულ ვადებში წარუდგენენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს შემდგომ სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისათვის წარსადგენად წინადადებებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების ოდენობის შესახებ დასაგეგმ ხუთწლედში (წელს) მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მიმართულებათა მიხედვით სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა განსახორციელებლად, მათ შორის სახელმწიფო მიზნობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე კომპლექსური პროგრამის, დარგთაშორისი სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსების გეგმების დავალებათა სარეალიზაციოდ, აგრეთვე საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დარგთაშორის სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემებზე სამუშაოთა შესასრულებლად, საზოგადოებრივი წარმოების მარევოლუციურებელი პრინციპულად ახალი ტექნიკის შესაქმნელად.

ამ სამუშაოთა დაფინანსება ხორციელდება, როგორც წესი, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სახელმწიფო შეკვეთების სისტემის მეშვეობით. ამასთან გამოიყოფა საზოგადოებრივ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში და მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მიმართულებათა მიხედვით ფუნდამენტური კვლევის განხორციელებისათვის საჭირო ასიგნებანი.

პროგრამების (პრობლემების) მიხედვით მთავარი სამინისტროები, უწყებები წარადგენენ წინადადებებს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა განხორციელებისათვის საჭირო სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ოდენობის შესახებ მთლიანად პროგრამის (პრობლემის) თანახმად.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, სამინისტროებისა და უწყებების, სამეცნიერო და საექსპერტო საბჭოების, ხოლო საჭირო შემთხვევებში — ორგანიზაციების, საწარმოებისა და გაერთიანებების მიზიდვით შეაფასებს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა ოდენობის შესახებ წარდგენილ წინადადებებს. ამასთან მხედველობაში მიიღება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ყველაზე დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე საკონკურსო პროექტების, პარალელური ნამუშევრების, აგრეთვე ცალკეულ სამეცნიერო კოლექტივთა და სპეციალისტთა საინიციატივო სამუშაოების დაფინანსების შესაძლებლობა.

მე-4 პუნქტში აღნიშნულ სამუშაოთა დაფინანსების წყაროებს 1990 წლამდე პერიოდისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებთან ერთად წარმოადგენს სამინისტროთა და უწყებათა, აგრეთვე ორგანიზაციათა, საწარმოთა და გაერთიანებათა ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების სახსრები მათი შრომითი კოლექტივების თანხმობით.

საზოგადოებრივ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში ფუნდამენტური კვლევის დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტის

ასიგნებათა ოდენობის შესახებ წინადადებებს განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან და საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროთან ერთად.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ მომზადებული წინადადებანი დასაგეგმ პერიოდში სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა მოცულობის შესახებ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მიმართულებათა მიხედვით დაყოფით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო წარუდგენს განსახილველად სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს.

7. სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტით სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულ ასიგნებათა განაწილების შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სახალხო-სამეურნეო კომპლექსების და მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მიმართულებათა მიხედვით, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი განსაზღვრავს და წარმოუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად დასაგეგმ პერიოდში რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მიერ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსების მოცულობას მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მიმართულებათა მიხედვით შემდეგი პრიორიტეტების გამოყოფით:

— სახელმწიფო მიზნობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამები;

— რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამები;

— ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე კომპლექსური პროგრამა;

— დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების სამუშაო გეგმები;

— საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დარგთაშორისი სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემები საზოგადოებრივი წარმოების მარევოლუციურებელი ახალი ტექნიკის შესაქმნელად;

— ფუნდამენტური კვლევა საზოგადოებრივ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკის მეცნიერებათა დარგში.

ზემოაღნიშნული პრიორიტეტების მიხედვით პროგრამების (პრობლემების) თანახმად სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსება, როგორც წესი, ხორციელდება მთავარი სამინისტროებისა და უწყებების მეშვეობით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მუდმივ კონტროლს უწევს ზემოაღნიშნული სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების რაციონალურად გამოყენებას და რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად პასუხს აგებს მათი ეფექტიანი გამოყენებისათვის. სახელმწიფო ბიუჯეტის გამოყოფილ ასიგნებათა არაპირდაპირი დანიშნულებით გამოყენების შემთხ-

ვევაში მიიღება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება ამ სამუშაოთა დაფინანსების შეწყვეტის და ამასთან დაკავშირებით გამოთავისუფლებული სახსრების მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პერსპექტიული და აქტუალური მიმართულებებისათვის შემდგომი გადანაწილების შესახებ.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი დასაგეგმი წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაწესებული სახსრების ოდენობის გათვალისწინებით განსაზღვრავს ბიუჯეტზე არსებული სამეცნიერო ორგანიზაციების მუშაკთა ხელფასის საერთო ფონდს, ანაწილებს ამ ხელფასის ფონდს არასაწარმოო სფეროს რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით და წარმოუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად ზემოაღნიშნულ განაწილებას სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსების საერთო მოცულობაში, აგრეთვე სამეურნეო ხელშეკრულებათა მიხედვით შესასრულებელ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა მოცულობისათვის ხელფასის ფონდის წარმოქმნის ნორმატივებს ხუთწლედის ბოლომდე პერიოდისათვის წლების მიხედვით დაყოფით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასა და საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს უმტკიცდებათ საქვეუწყებო სამეცნიერო დაწესებულებათა საჭიროებისათვის ხელფასის საერთო ფონდის ნორმატივი, დაწესებული იმ სამუშაოთა მოცულობის შესაბამისად, რომლებიც სრულდება საკუთარი ძალებით (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განმტკიცებისათვის გამოყოფილი სახსრების ჩაუთვლელად) როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე, ისევე შემკვეთებთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით შემოსული სახსრების ხარჯზე.

9. იმ უმნიშვნელოვანეს საერთო-სახელმწიფოებრივ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა განხორციელებასთან დაკავშირებული ამოცანების ოპერატიული წესით გადასაწყვეტად, რომელთა შესრულების აუცილებლობა წარმოიშობა წლის განმავლობაში, აგრეთვე პრინციპულად ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების შესაქმნელად დიდი დარგთაშორისი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრის სამუშაოთა განსავითარებლად და დასაჩქარებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი შეადგენს ერთიან განაცხადს რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა სამეცნიერო დაწესებულებების მიერ ასეთ სამუშაოთა განსახორციელებლად და წარმოუდგენს მას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემდგომ სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისათვის გასაგზავნად.

**სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსება დარგობრივ დონეზე**

10. სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგებში სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსების წყაროებს წარმო-

ადგენს გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრები, აგრეთვე სამინისტროთა და უწყებათა ცენტრალიზებული ფონდების, რეზერვების სახსრები და ბანკების კრედიტები, ხოლო საჭირო შემთხვევებში — ბიუჯეტის ასიგნებანი.

11. არასაწარმოო სფეროს სამინისტროებსა და უწყებებში სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებანი.

სამინისტროები და უწყებები დაუგზავნიან სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებულ სამეცნიერო ორგანიზაციებს საფინანსო მაჩვენებლებს ბიუჯეტის სახსრებისა და ხელფასის ფონდის მთელი მოცულობისათვის, რაც განაწილდება სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის სახელმწიფო მიზნობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე კომპლექსური პროგრამის დავალებათა, დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების გეგმების, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დარგთაშორისი სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების, საზოგადოებრივი წარმოების მარევოლუციურებელი ახალი ტექნიკის შექმნის დავალებების, ფუნდამენტური გამოკვლევების მიხედვით.

სამეცნიერო ორგანიზაცია ამ მაჩვენებლების საფუძველზე გეგმავს და ითვალისწინებს ყოველი ცალკეული კონკრეტული თემის მიხედვით ხარჯებს დანართის თანახმად განსაზღვრული წესით.

სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა მოცულობას, რომელსაც ასრულებენ სახლმწიფო ბიუჯეტზე არსებული სამეცნიერო ორგანიზაციები დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, საწარმოებთან და გაერთიანებებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით, ისინი განსაზღვრავენ დამოუკიდებლად. ამ სამუშაოებისათვის ხელფასის ფონდი გამოიანგარიშება სამინისტროებისა და უწყებისათვის დაწესებული ნორმატივის მიხედვით, საკუთარი ძალებით შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნული სამუშაოები ნაზღაურდება დადგენილი წესით, სახელშეკრულებო ფასებში. სამინისტროები და უწყებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივებისა და მაჩვენებლების საფუძველზე უმტკიცებენ სამეცნიერო ორგანიზაციებს ზემოაღნიშნული სამუშაოების მიხედვით შემდეგ ეკონომიკურ ნორმატივებს:

— მოგების ანარიცხები სახელმწიფო (მათ შორის ადგილობრივ) ბიუჯეტში*);

---

* უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევით ნაწილებსა და სექტორებს უწესდებათ აგრეთვე შრომითი რესურსებისათვის გადასახდელის ნორმატივი შტატის ყოველ მუშაკზე 300 მანეთის ოდენობით.

ეროვნული

— მოგების ანარიცხები სამინისტროთა, უწყებათა ცენტრალიზებულ ფონდებში, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით;

— მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური განვითარების ფონდის შექმნის ნორმატივები;

— მატერიალური წახალისების ფონდის შექმნის ნორმატივები;

ამავე დროს სამინისტროები და უწყებები დაუგზავნიან დადგენილი წესით სამეცნიერო ორგანიზაციებს სავალუტო ფონდის შექმნის ნორმატივებს.

სამეცნიერო ორგანიზაციებს შეუძლიათ გამოიყენონ მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური განვითარების ფონდის სახსრები ფუნდამენტურ გამოკვლევათა და საკვლევაძიებო ხასიათის სხვა საინიციატივო სამუშაოთა დამატებითი დაფინანსებისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს საქვეუწყებო სამეცნიერო ორგანიზაციები ქმნიან მოგებას გამოკვლევათა და სამუშაოთა განხორციელების ხარჯთაღრიცხვების მიხედვით ბიუჯეტის სახსრების ეკონომიის ხარჯზეც.

12. სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილი სამეცნიერო ორგანიზაციები ახორციელებენ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსებას სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 30 სექტემბრის № 1102 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 8 დეკემბრის № 572 დადგენილებით დამტკიცებული სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსების წესის დანართი

## მეცნიერული კვლევის კონკრეტული თემებისათვის ბიუჯეტიდან გამოსაყოფ ასიგნებათა ოდენობის განსაზღვრის

## წესი

ყოველი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოსათვის ხარჯების დაგეგმვა ხორციელდება ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებათა საფუძველზე, რომელთა შედეგები აისახება სახარჯთაღრიცხვო ღირებულების კალკულაციაში მთლიანად თემის მიხედვით, № 1 თანდართული ფორმის თანახმად, და დასაგეგმ წელს შესასრულებელი სამუშაოების მიხედვით, № 2 თანდართული ფორმის თანახმად:

სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ღირებულებაში შეტანის წესის შესაბამისად ხარჯები იყოფა პირდაპირ და ზედნადებ ხარჯებად.

პირდაპირ ხარჯებს განეკუთვნება თემის მიხედვით სამუშაოთა შესრულებასთან უშუალოდ დაკავშირებული მთელი დანახარჯები, მათ შორის:

— უშუალოდ თემის მიხედვით მომუშავე მეცნიერ, ინჟინერ-ტექნიკურ და სხვა მუშაკთა ხელფასი;

— კონკრეტული თემის მიხედვით სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო მასალების, რეაქტივების, ქიმიკატების და ა. შ. დანახარჯები, აგრეთვე სატრანსპორტო და დამზადების ხარჯები;

— სამეცნიერო მივლინებათა ხარჯები;

— სამეცნიერო მიზნებისათვის სპეციალური მოწყობილობის შეძენისა და დამზადების დანახარჯები;

— გარეშე ორგანიზაციების, საწარმოებისა და გაერთიანებების მიერ კონკრეტული თემისათვის შესასრულებელ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დანახარჯები;

— თემის მიხედვით სამუშაოთა შესრულებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები (სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობის, მანქანური დროის არენდის დანახარჯები, სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული პრემიები და ა. შ.).

ზედნადებ ხარჯებს განეკუთვნება რამდენიმე თემის მიხედვით სამუშაოთა შესრულებასთან, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევით და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოთა მართვა-ორგანიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები (მმართველობის აპარატის შენახვის, სამეურნეო და სხვა ხარჯები), აგრეთვე დამოუკიდებელ ბალანსზე არსებულ დამხმარე მეურნეობათა და საცდელ-ექსპერიმენტულ წარმოებათა ხარჯები, რომელთა პირდაპირ მიკუთვნება კონ-

კრეტული თემისათვის შეუძლებელია. თითოეული თემის მიხედვით საგეგმო ზედნადები ხარჯების აბსოლუტური ოდენობა განისაზღვრება უშუალოდ თემის მიხედვით მომუშავე თანამშრომელთა ხელფასის მიმართ სამეცნიერო ორგანიზაციის ზედნადები ხარჯების დამტკიცებული პროცენტის შესაბამისად. სამეცნიერო ორგანიზაციის ხარჯთაღრიცხვასთან პირდაპირი და ზედნადები ხარჯების ურთიერთდაკავშირების სქემა მოყვანილია № 3 თანდართულ ფორმაში.

თემატურ გეგმებში შეტანილ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა კალკულაციის მუხლების კვალობაზე საგეგმო დანახარჯების თანხა უკავშირდება სამეცნიერო ორგანიზაციის ხარჯთაღრიცხვას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების

# კ ა ლ კ უ ლ ა ც ი ა

თემისათვის ________________________________

თემის დასახელება

________________________________

თემის კოდი და სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი

სამუშაოთა შესრულების საფუძველი ________________

სამუშაოთა შესრულების ვადა: დაწყება __________ დამთავრება __________

(მანეთი)

| დანახარჯების მუხლების დასახელება | სულ თემის მიხედვით |
|---|---|
| ხელფასი | |
| ანარიცხები სოციალური დაზღვევისათვის | |
| მასალები | |
| სპეცმოწყობილობა სამეცნიერო (ექსპერიმენტული) სამუშაოებისათვის | |
| ხარჯები სამეცნიერო მივლინებებისათვის | |
| დანახარჯები გარეშე ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ შესრულებულ სამუშაოთა მიხედვით | |
| სხვა პირდაპირი ხარჯები | |
| ზედნადები ხარჯები | |
| სულ სახარჯთაღრიცხვო ღირებულება | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 2

**სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების**

## კ ა ლ კ უ ლ ა ც ი ა

თემისათვის ______________________________

თემის დასახელება

______________________________

თემის კოდი და სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი

______________________________ წლისათვის

სამუშაოთა შესრულების საფუძველი ______________________________

სამუშაოთა შესრულების ვადა: დაწყება __________ დამთავრება __________

| დასახელება | დასაგეგმი წლისათვის | მათ შორის: კვარტალების მიხედვით: | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | I | II | III | IV |
| ხელფასი | | | | | |
| ანარიცხები სოციალური დაზღევისათვის | | | | | |
| მასალები | | | | | |
| სპეცმოწყობილობა სამეცნიერო (ექსპერიმენტული) სამუშაოებისათვის | | | | | |
| ხარჯები სამეცნიერო მივლინებებისათვის | | | | | |
| დანახარჯები გარეშე ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ შესრულებულ სამუშაოთა მიხედვით | | | | | |
| სხვა პირდაპირი ხარჯები | | | | | |
| ზედნადები ხარჯები | | | | | |
| სულ სახარჯთაღრიცხვო ღირებულება | | | | | |

ფორმა № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამეცნიერო ორგანიზაციის ხარჯთაღრიცხვასთან პირდაპირი და ზედნადები ხარჯების ურთიერთდაკავშირების სქემა

——————————— წლისათვის

| ხარჯთაღრიცხვის მუხლების დასახელება | დამტკიცებულია ხარჯთაღრიცხვით წლისათვის | აქედან: | | მათ შორის ზედნადები ხარჯები სახეობათა მიხედვით | | | | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | პირდაპირი ხარჯები | ზედნადები ხარჯები | მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯები | შენობა-ნაგებობათა შენახვა | მოწყობილობის შენახვა | შენობა-ნაგებობათა მიმდინარე რემონტი | სხვა ხარჯები | |
| 1. ხელფასი — სულ | | | | | | | | | |
| მათ შორის: | | | | | | | | | |
| ა) ძირითადი ხელფასი | | | | | | | | | |
| ბ) მასწავლებელთა პერსონალის ხარჯები | | X | | X | X | X | X | | |
| 2. დანარიცხები ხელფასზე | | | | | | | X | | |
| 3. საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯები — სულ | | X | | | | | | | |
| 4. მივლინებები და სამსახურებრივი მიმოსვლა | | | | | X | X | X | X | |
| 5. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა | | | X | X | X | X | X | X | |
| მათ შორის: | | | | | | | | | |
| ა) მასალები სამეცნიერო მიზნებისათვის, საცდელი ცხოველების ჩათვლით | | | X | X | X | X | X | X | |
| ბ) სამეცნიერო მივლინებები | | | X | X | X | X | X | X | |

| ხარჯთაღრიცხვის მუხლების დასახელება | დამტკიცებულია ხარჯთაღრიცხვით წლისათვის | აქედან: | | მათ შორის ზედნადები ხარჯები სახეობათა მიხედვით | | | | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | პირდაპირი ხარჯები | ზედნადები ხარჯები | მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯები | შენობა-ნაგებობათა შენახვა | მოწყობილობის შენახვა | შენობა-ნაგებობათა კაპიტალური რემონტი | სხვა ხარჯები | |
| გ) შესრულებულ გარეშე სამეცნიერო და ექსპერიმენტულ სამუშაოთა ანაზღაურება | | | X | X | X | X | X | X | |
| დ) სამეცნიერო მიზნებისათვის ელექტროენერგიის, გაზის, ორთქლის, წყლისა და სათბობის ანაზღაურება | | | | X | X | X | X | X | |
| ე) სხვა ხარჯები | | | | X | X | X | X | X | |
| 8. სტიპენდიები | | X | | X | X | X | X | X | |
| 9. კვების ხარჯები | | X | | X | X | X | X | | |
| 12. მოწყობილობისა და ინვენტარის შეძენა | | | | X | X | X | X | | |
| 14. რბილი ინვენტარისა და ფორმის ტანსაცმლის შეძენა | | X | | X | X | X | X | | |
| 16. შენობა-ნაგებობათა კაპიტალური რემონტი | | X | | X | X | X | | X | |
| 18. სხვა ხარჯები — სულ | | | | X | X | X | X | | |
| მთლიანად | | | | | | | | | |

ინდექსი—76187

ეროვნული ბიბლიოთეკა

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6, 1988 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/III-89 წ. ქაღალდის ზომა $70 \times 108^{1}/_{16}$.
საბეჭდი თაბახი 5,5, სააღრიცხვო თაბახი 5,5.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა 333 ტირაჟი 1900

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა